საქართველო

წელიწადი მეხუთე | კვირა, 14 ენკენისთვე 1919 წ. № 199 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს 180 მან. თვიურად ქალაქში 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ. [illegible] განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73



დღეს უკანასკნელი დღეა!!! წავა პროტაზანოვის დადგმული სურათი

სილამაზის კონკურსი

სალონის კინო-პიესა მილლიარდერთა ცხოვრებიდან 5 აქტად.

მთავარ როლებში: ა. რიმსკი და ნ. ო. იუჟინოვა.

კინო-თეატრი. რუსთაველის პროსპ. № 2.
პირველი სეანსის დას. [illegible] საღ. [illegible] საათზე.

ანონსი ხვალ ორშაბათს, ენკენისთვის 15-ს წავა იტალიური კინო პრემიერა **სიკვდილის ფრთებს ქვეშ** ინსცენირებულია პრინც ალბერტ ფლორენციელის მემუარებიდან. მთავარ როლში: მარია იაკობინი. სურათი შესრულებული იქნება სიმფონიური ორკესტრის მუსიკალურ ილუსტრაციით.

ღრმად დამწუხრებული [illegible] ნიკოლაძე და [illegible] ასული იოსელიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 16 ენკენისთვეს სამშაბათს ს. სორში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად დაკარგულის პირველის საყვარელი ძმის და მეორისა საყვარელი მეუღლის

ვარლას

სულის მოსახსენებლად. 1—2639—1

უზომოდ დამწუხრებული ვალიკო ირმის ძე ჯაფარიძე აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 16 ენკენისთვეს, სამშაბათს ს. სორში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად დაკარგულის საყვარელი მეუღლის

ვარლას

სულის მოსახსენებლად. 1—2640—1

გულ-დამწვარნი შვილები: ალექსანდრე, დავითი, ვალიკო, ნინო, ნადია, და კატო. სიძეები: არჩილ და გრიგოლ მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი ანჩისხატის ეკლესიაში დღეს 14 ენკენისთვეს 12 საათზე. მათი დაუვიწყარ მამის

ვლადიმერ დავითის ძე ჯაფარიძის

სულის მოსახსენებლად. (1—2644—1)

ქართული კლუბი

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა! იტალიელი ვარსკვლავი სინემატოგრაფიული მსახიობი ქალი

მარია კარმი

კვირას, 14 ენკენისთვეს ქართ. დრამ. საზოგადოების საღამოზე სხვა მრავალ გასართობთა შორის ნაჩვენები იქნება სინემატოგრაფიული სურათი

სიმიუს თეორია

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ცნობილი მსახიობი ქალი მარია კარმი თვითონ მარია კარმი პირადად დაესწრება ქართულ დრამატიულ საზოგადოების საღამოს. 1—180—1

ქართული კლუბი

კვირას, 14 ენკენისთვეს, 1919 წ., ქართული დრამატიული საზოგადოების სასარგებლოთ გაიმართება

დიდი სეირნობა

აუქციონი

ალეგრი

კტი-შვო

საზაფხულო თეატრში. **დიდი კონცერტი** მონაწ. ქ.ქ.: [illegible]
ბ.ბ. ინაშვილი, [illegible]

ბალეტი ქ. ბაუერ-ზაკსის მონაწილეობით.

დასასრულ ცეკვა და ვახშამი.

საღამოს გამგე პეტრე ივანეს ძე ქავთარაძე

1—180—1

ყიდულობს, ჰყიდის იღებს საკომისიოდ პროცენტებით და უპროცენტოდ **ყველაფერს** [illegible] ანსად მიღებულ საგნებში შემფასებელთ

თბილისში პირველი **ყველაფერი** საკომისიო მაღაზია
მიხეილის პრ. № 142 კინო-პალასის პირდაპირ.

ნივთების მოტანა და შეფასება სრულიად უსასყიდლოდ.
ხალიჩა ტანისამოსი ფეხსაცმელები ფართლეულობა ჩულქები საცვლები ჭურჭელი ხალიჩები ავეჯეულობა. ძვირფასი საგნები.
ჩვენი დევიზი: ნდობის დამსახურება ჩვენს კლიენტებში. 10—9

მოწოდება

საქართველოს ვაჭარ-მრეწველთ

ვაჭარ-მრეწველნო! ჩვენი ვაჭრობა და მრეწველობა განსაკუთრებულ ხანას განიცდის. ყოველი საჭირო საქონელი უცხოეთიდან ჩვენში რამოდენიმე ათეულ თუ ასეულ შუამავლის ხელიდან შემოდის, რაც საქონელს ძალზე აძვირებს. საქონელი შემოაქვთ ჯგუფებით, რაც საშუალებას უსპობს ყოველ კერძო მწარმოებელს პირდაპირ ფაბრიკანტებიდან თვითონვე შეიძინოს საქონელი საჭირო უფრო მეტი რაოდენობა. ამით სარგებლობენ უცხო ელემენტები და ლამობენ ხელში ჩაიგდონ მთელი ჩვენი აღებ-მიცემობა; ამას ადვილად აღწევენ, რადგან ისინი ორგანიზაციულად მოწყობილნი და სააქციო საზოგადოებებში და ძლიერ ამხანაგობებში ვაჭრულად შეკავშირებული არიან. თუ არსებულმა ვითარებამ კიდევ დიდხანს გასტანა და ჩვენი ვაჭრები დაქსაქსული დარჩნენ, საუკეთესო და უდიდესი ნაწილი ჩვენი აღებ-მიცემობისა ჩვენ მოქიშპეთა ხელში გადავა და ჩვენივე შინაურ ბაზარზე სრულიად უცხონი გაგვიბატონდებიან.

ამისათვის დაიწყეს ქუთაისის ვაჭრებმა შეკავშირება და სავაჭრო სამრეწველო სააქციო საზოგადოების „საქართველოს“ შედგენა. ჩვენ დიდის სიხარულით ვეგებებით ამ თაოსნობას და საჭიროთ მიგვაჩნია რაც შეიძლება დროზე დავასრულოთ მოწყობა ამ საზოგადოებისა, რომელიც მთავრობის მიერ მოწონებულია და ხელს შეუწყობს:

1. ევროპა ამერიკის ფაბრიკანტებთან კავშირის დაჭერით საქონლის იაფათ შეძენას და პირდაპირ ჩვენს ბაზარზე გამოტანას, რაც საქონელსაც გააიაფებს და მოგებასაც მეტს დატოვებს ჩვენს მწარმოებელს, რადგანაც ჩამოაშორებს მას ურიცხვ უცხო შუამავლებს. აგრეთვე სარგებლობას მოუტანს იგი ჩვენს მწარმოებელს ჩვენი ქვეყნიდან ჩვენი საქონლის პირდაპირ, უშუამავლოთ ევროპა-ამერიკის ბაზარზე გატანით და ნამდვილი ბაზრის ფასებში ადვილათ გასაღებით.

2. ჩვენივე თვითმოქმედების გაღვიძებით და კომერციულ საქმეთა ენერგიულად წარმოებით გააუმჯობესებს ჩვენი ფულის ტრიალის საქმეს როგორც ჩვენში, ისე საზღვარ-გარეთაც.

3. შეიქნება ძლიერი კომერციული ფირმა, რომელიც განავითარებს ჩვენში ევროპიულად მოწყობილსა და ევროპიულ ტეხნიკით წარმოებულ კომერციას, რაც გაადვილებს ყველა ჩვენ ვაჭრის უცხოელებთან ურთიერთობას.

დროა, საქართველომ თავისი საქმიანობის უნარი და სიფხიზლე განსაკუთრებით უცხოელებთან, ევროპის ხალხებთან კოოპერაციულ დამოკიდებულებათა განვითარებას მიახმაროს. განსხვავება უცხოელებსა და ჩვენს შორის ისაა, რომ ისინი იმ თავითვე ევროპის განვითარების ფერხულში მოყოლილნი, გაცილებით უფრო ადრე შეუდგნენ მომზადებას და თავიანთი კაპიტალის ორგანიზაციულ მოწყობას. ჩვენ გვაკლია მათებრ შეგნებით ჩვენი კაპიტალის, ჩვენი ფულის ორგანიზაციულად, სისტემით მოხმარება. მაგრამ ეხლა ჩვენ უკვე შევუდექით ორგანიზაციის მოწყობას სააქციო საზოგადოების სახით.

ყველა კუთხეში ვაჭარ მრეწველთა მიერ შედგენილია საორგანიზაციო კომიტეტები, რომელნიც ვალდებული არიან ვაჭრების ფართე კრებას აუხსნან და განუმარტონ დიადი მნიშვნელობა კაპიტალის ორგანიზაციის აუცილებლობისა.

ყველაფერი მზათ არის. აქციებზე ხელის მოწერა წარმოებს. ვაჭრებმა და მრეწველებმა კიდევ მეტი ხალისი და [illegible] უნდა გამოიჩინონ, რომ პირველივე ხელის მოწერით შესაძლო გახდეს ძირითადი თანხის კიდევ უფრო გადიდება, რომ ჩვენი ვაჭარ-მრეწველთა მიერ შექმნილი ეს ახალი საქმე ძლიერი იქნეს თავის კაპიტალით, წარმოებით და იმ დახმარებით, რომელსაც იგი გაუწევს თავის აქციონერებს.

ჩვენ მთელი ჩვენი არსებით მხარს ვუჭერთ ამ ახალს თაოსნობას და მოვუწოდებთ ყველა პუნქტების ვაჭარ-მრეწველთ ცხოველი და ენერგიული მონაწილეობა მიიღონ ამ ახალს სავაჭრო სამრეწველო სააქციო საზოგადოებაში.

თბილისის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები: ი. [illegible]—კოპაძე, ნ. ჯაყელი, ი. დადიანი, ა. ქავქანიძე, ნ. სიხარულიძე, დ. კალანდაძე და ა. ქორქია.

ყოველგვარი შეკითხვები უნდა მიემართოს ტ. მარგველაშვილს, ბელინსკის ქ. № 21. თბილისში. 4—6—3

კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო სააქციო საზოგადოების

„საქართველო“-ს

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ ამით აცხადებენ დამფუძნებელნი, რომ აქციებზე ხელის-მოწერის უკანასკნელი ვადა

ოთხი ოქტომბერია

ამ რიცხვისათვის ყველი საორგანიზაციო კომიტეტი ვალდებულია გამოგზავნოს მთავარი მართველის სახელზე დაწვრილებითი სია აქციონერებისა [illegible] და ადგილობრივი ბანკის მოწმობა, რომ წესდების მე-8 § ის მოთხოვნილებისამებრ ფული შეტანილია და ინახება ბანკში, თანხის აღნიშვნით.

დამფუძნებელთა მინდობილებით საქმეთა მთავარი მართველი ტიტე მარგველაშვილი ბელინსკის ქ. 21, თბილისი. 3—176—2

ვანო ბერძნიშვილის ფეხსაცმლის სახელოსნო

მუშაობა განახლდა. ვიღებ ყოველნაირ შეკვეთას სრული პასუხისმგებლობით.
წყნეთის ქუჩა, № 28. ვანო ბერძნიშვილი.

კოოპერატივ „დახმარება“-ს წევრთა საყურადღებოდ

მიღებულია საუკეთესო **კარტოფილი**

იყიდება ორთავ განყოფილებაში 3—177—3

„დიდი რუსეთის“ აგენტები

ქართველ სოციალ-დემოკრატების ბანაკში უზომოდ ზეიმობენ: ორი წლის განმავლობაში პირაკრული რუსეთი, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მისი მენშევიკური ნაწილი მოულოდნელად ამეტყველდა განთავისუფლებულ საქართველოს შესახებ! აქსელროდი მისალმებას უგზავნის საქართველოს მენშევიკებს და მათ ბელადს ნოე ჟორდანიას, ხოლო რუსეთის სოციალ დემოკრატიულ პარტიის პარიზელი ჯგუფი წერილს აქვეყნებს მგზნობიარე სათაურით: „შებოჭილი საქართველო“. ერთიც და მეორე წერილიც ნამდვილ რუსულ აზრებს ამჟღავნებენ და, თუ დახელოვნებული აქსელროდი უფრო მორიდებულად შიგა და შიგ „ავარიას“, ასე ვთქვათ, უნიატურ აზრებს, „შებოჭილ საქართველოს“ ავტორი მოურიდებლად აცხადებს: „ჩვენი გული ისევ ცემს რუსეთისთვის“. თვით [illegible] გამოსროლილია „ნაყოფიერ ზეგავლენა“: გულაჩვილებული „ერთობა“ სწერს: „ჩვენ ამხ. პ. ბ. აქსელროდის და „შებოჭილ საქართველოს“ ავტორის აზრებს სავსებით ვუერთდებით“...

„ერთობის“ ხელმძღვანელების რუსეთისადმი თავდავიწყებით სიყვარულში ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა იმ დროსაც კი, როდესაც განგებამ სოციალ-დემოკრატების ხელით საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტად ჰქმნა და რუსეთის მთლიანობისთვის თავგანწირულ ადამიანებს იძულებით აღიარებინა პატარა ქვეყნის სუვერენიტეტი. დამწუხრებული მენშევიკები, ნაციონალისტურ მოღვაწეობით მოღლილნი, შიგა და შიგ მორცხვად გლოვობენ „დიდი რუსეთის“ ასე უმოწყალოდ დანგრევას და ფიცს სდებენ, რომ ძალად თავზე მოხვეულ „ფეტიშს“ პირველ შემთხვევაშივე განუდგებიან და „მთლიან რუსეთის დემოკრატიას“ კვლავ მხარში ამოუდგებიან საბოლოო მიზნის მისაღწევად.

ორიოდე თვის წინად „ერთობა“-მ დაბეჭდა წერილი სწორედ იმავ საგანზე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატიისთვის ფეტიში არ არის და ისინი ეცდებიან რამე სახით დიდ სახელმწიფოს შეუერთდნენ შემდეგში. საზოგადოებაში დიდი ღელვება გამოიწვია უადგილო განცხადებამ. როგორცა სჩანს, რუსეთის ფოლგლებში მომწყვდეულ იდეა აქამდე მოიზიდებული ყოფილა სოციალისტურ წრეებში, რომ [illegible] შემდეგ დღესაც ჰქონდეს ჩვენი სახელმწიფოებრიობის დამშლელ აზრების შეტანა ქართველობაში.

„ერთობა“ ჰგრძნობს, რომ მისი გზააბნეული გამოსვლები ღირსეულ პასუხს მიიღებენ საქართველოს დამოუკიდებლობის მცველებისაგან და ამიტომ მისთქვამს: „ჩვენი ნაციონალისტური გაზეთები, ეჭვი არაა, ამ ბუნებრივ სურვილისა (sic) და მარქსისტულ შეხედულებას გამო ერთ ჯანჯალს ასტეხენ, პატრიოტული კილოთი მოჰყვებიან ყვირილს..“

დიახ, ბატონებო! თქვენს გამოსვლებსა და წერილებს ისეთი სუნი უდის, რომ მართლაც საჭირო ხდება ჯვარედინ გზაზე ხმა მაღლა ყვირილი! ქართველ ხალხს პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ქართველი სოციალდემოკრატები გულს უცრუებენ სწორედ მაშინ, როცა მთელი ერის ძალა და ღონე ამ დამოუკიდებლობის განმტკიცებას უნდა ელოდეს!

„სწორი მარქსისტული შეხედულება“ იქნებ მოითხოვდეს მენშევიკურ რუსეთში გათქვეფას, სოციალისტურ წესწყობილებისაკენ მიახლოვება შესაძლებელია მიგვაწოდეს დიდ რუსეთის დემოკრატიის წიაღში შესვლას, მაგრამ განა ყველა ეს საკმარისი საბუთია, რომ ასე უმოწყალოდ წიხლი ჩავცეთ წვალებაში შობილ ეროვნულ თავისუფლებას!?

საქართველოს უბედურებაც ხომ ის არის უმთავრესად, რომ სახელმწიფოს გამგებელთ არა სწამთ საქმე, რისი მოგვარება მათ დავალებული აქვთ „ღვთისა და ერის წინაშე“.

„ერთობა“ ამბობს, რომ „სოციალიზმისათვის ბრძოლაში ყველა დემოკრატიები რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი“, მაგრამ, საკითხავია, ვინ ეწინააღმდეგება ჩვენს მენშევიკებს ამ სურვილში?! შე-

აღმასრულებელი კომიტეტი

ვაჭარ-მრეწველთა საბჭოსი, მექარხნეთა, მეფაბრიკეთა, სახელოსნო სამმართველოს დეპუტატთა იწვევს

საერთო კრებას

ქვემოდ ჩამოთვლილ ჯგუფების თვით დაბეგვრის მოსაწყობად. კრება შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწრონ.

1 ჯგუფი ორშაბათს (ენკენისთვის 15)

ჯგუფის სახელები	საათი	კრების ადგილი
1. ასოების ჩამომსხმელნი	დილის 9 საათზე	ბირჟაზე
2. ბამბის ქარხნის	„ 9 საათზე	ბირჟა
3. ავეჯის მაღაზიები	„ 10 „	ივ. მაღაევის მაღაზიაში
4. საავტომობილო გარაჟი	„ 9 „	ბირჟა
5. ავტომობილის სახელოსნო	„ 9 „	მექარხნეთა საზოგ.
6. აფთიაქები	საღ. 6 „	მე 2-ქართ. კლუბ მიხ 139
7. აპტიური მაღ.	დილ. 11 საათზე	ბირჟა
8. საცომით მოვაჭრენი	დილ. 11 „	„
9. საბანდეროლო სახელოსნ.	„ 11 „	აგენტ. კონტ. 2 საკომ.
10. ფეხზე მოვაჭრენი	„ 12 „	გრაფ. ღ ბაზ. ქ. № 2. მე 10 ნაწ.
11. ბაკები	დღის 1 საათ.	ჩერქეზ. ქ. № 87
12. საბეჭდავი სახელოსნო	საღამოს 5 „	მე 9 ნაწ. კონტ. აგენ. ელის. 10
13. თევზით მოვაჭრენი	„ 5 „	ბირჟა
14. ბითუმად მოვაჭრენი	„ 6 „	
15. ბოთლების საწყობი	საღამოს 12 საათზე	მეიდანი კონტ. აგენტ.
16 გრამოფონით მოვაჭრენი	„ 8 სათ.	მე-2 უბნის კონტორ. აგენტ. ბაზარის და გრაფ. ქ. № 2
17. თეატრების ბუფეტები	დილის 10 „	სახელმწიფო თეატრი
18. სადგურის ბუფეტი	დილის 10 „	სადგურზე
19. მემწვანილენი	საღამოს 5 „	კონ. აგენტ. № 2.

2 ჯგუფი სამშაბათს

ჯგუფის სახელები	საათი	კრების ადგილი
1. თამბაქოს მაღაზიები	2 საათზე	მე 9 უბნის კონტ-აგენტთან
2. დამზღვევი საზოგადოებანი	1 „	საზ. „როსსია“ში
3. აგურხანაში	საღ. 6 „	ვერის დაღმარ. კონტ-აგენტ.
4 საანგარიშო კას. და ლომბ.	„ 5 „	ბირჟა.
5. იარაღის მაღაზიები	დილ. 9 „	თვითმართველობა.
6. კავკასიური მაღ	„ 10 „	ბირჟა.
7. მეკვერცხეები	„ 11 „	„
8. კირის საწყობი	„ 9 „	„
9. მატყლის და ბამბის მოვაჭ.	„ 10 „	„
10. მეფუტკრეები	„ 10 „	„
11. შინაურ ფრინველებ. „	„ 11 „	ავლაბრის კონტ-აგენტთან.
12. ნავთის საწყობები „	„ 12 „	მექარხ. საზოგად.
13. მენაბდეები	საღ. 6 „	მეიდანზე კონტ აგენტ.
14 პაპირ. ქაღალდით „	„ 6 „	ბირჟა
15. რეზინის სახელოსნო	„ 6 „	„
16. როიალის მომწყობნი	„ 6 „	„
17. საწერ მანქ. მაღაზიები	„ 6 „	„
18. საბილიარდოები	„ 7 „	„
19. სასადილოები	„ 8 „	ვერის კონტ-აგენტ.
20. საეკლესიო ნივთთა სავაჭ.	„ 7 „	ბირჟა

განაწილება იქნება ცალკე ჯგუფების მიერ საბჭოს კონტროლით, რასაც ქალაქის გამგეობა დაადასტურებს. ცალკე პირთ კრებებზე გადასახადის გასაწერად მოცემულია მხოლოდ ერთი კვირის ვადა. 1—2143 1

უკანასკნელი ცნობები

სვანეთში დამფუძნებელ კრების არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს.

ჩიჩერინმა ლატვიას და ფინეთს ნოტები გაუგზავნა, რაშიაც არწმუნებს, რომ საბჭოთა მთავრობა აგრესიულად არ არის განწყობილი მცირე ერებთან:

მარიამობისთვის დამლევს გერმანიაში ხორბლეულობით დატვირთული პირველი გემი მივიდა.

ავსტრიის კანცლერმა სენ-ჟერმენში საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა.

რეიხსტაგის სხდომები მომავალ კვირიდან დაიწყება.

ჩიჩერინმა გერმანელ მუშებს მოწოდებით მიმართა, რაშიაც გერმანიის მთავრობას რუსეთის საქმეებში ჩარევას აბრალებს.

ამერიკისა და ინგლისს შორის ირლანდიის საკითხის გამო ურთიერთობა მწვავდება.

ბოლშევიკები ყველა ფრონტზე უტევენ.

კავშირდით და შეუღლდით ყველასთან ვისთანაც მოგეპრიანებათ, ხოლო დაზოგეთ საქართველოს თავისუფლება, ნუ შესწირავთ თქვენს შეერთებას ქართველი ერის წმინდათაწმინდის, მის „ფეტიშს“, რაზედაც „ერთობა“ თავის უმახვილო იუმორით ასე ხშირად მოგვითხრობს!

ჩვენი მიმართულება მუდამ აღნიშნავს საზოგადოების საყურადღებოდ „ერთობის“ ხელმძღვანელების და, მაშასადამე, სოციალ-დემოკრატიის ზრახვებს საქართველოს თვითმყოფობის წინააღმდეგ მიმართულს; ჩვენ „განგაშს ავსტეხთ“, როცა კი თქვენს ფურცლებზე სამშობლოს საზიანო აზრები ურცხვად აღიბეჭდება, როცა თქვენ სავსებით გაიზიარებთ ისეთ შეხედულებას, „რომლის გული ისევ სცემს რუსეთისათვის“.

„ერთობელები“ არ ჰმალავენ, რომ მათ როგორც სოციალდემოკრატებს, საქართველოს დამოუკიდებლობა „საშუალებათ მიაჩნიათ სოციალიზმისათვის“... ეს ჩვენ ვიცით და აკი ორი წლის ბატონობით ბრწყინვალედ დაამტკიცეთ თქვენი დებულება! ყველაფერი სოციალიზმისათვის – ამ ლოზუნგით შეუდგნენ სოციალ-დემოკრატები „ბურჟუაზიულ სახელმწიფოს“ შენებას და სოციალისტურ ექსპერიმენტებით ლამის გადააშენონ პატარა სახელმწიფო! ყველაფერი „საშუალებაა“ მენშევიკების ხელში: მიუთხრობელ მომავლის ლოდინში საცოდავად ეწვალებიან მათ მიერ გავერანებულ საქართველოს და ყოველ მის ღირებულებას „საშუალებად“ აცხადებენ. ამაზე შორს ვეღარ მივა ერის გამასხარავება!

ქართველ სოციალ-დემოკრატების „უდიდესი სურვილია დიდ რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკად გადაქცევა. ეს იქნებოდა ჩვენი ერის ბედნიერების საუკეთესო გარანტია“. თუ ასე ინტენსიურად ამუშავდა „სოციალ-დემოკრატების“ „უდიდესი სურვილი“, ვფიქრობთ სხვა რამეც არ ეჩვენოთ „ჩვენი ერის ბედნიერების გარანტიად“, მაგრამ ყველა ზემო ნათქვამიდანაც ცხადია, სად უნდა ეძიოს მენშევიკების ქვეშით ქართველ ერმა გამოსავალი...

მაშ, ასე: დიდ რუსეთს შევწიროთ ერთი „საშუალება“ — საქართველოს თავისუფლება, — რომ მეორე „საშუალებით“ არხეინად მივადგეთ სოციალიზმის ბჭეს:

ბედკრულის საქართველო ასეთ ადამიანების ხელში...

მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში

სოციალისტებთა შორის, რომელნიც მოწვეულ იყვნენ ლიუცერნში, სოციალისტურ კონფერენციაზე, იყვნენ ბოჰემიის სოც. დემ. პარტიის ორი ცნობილი ბელადი: ემეცი, ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ ყრილობის წარმომადგენელი, და დოქტორი სმერალი.

„ჰუმანიტე“-ს თანამშრომელს შემდეგი საუბარი ჰქონდა ემეცთან ჩეხოსლოვაკიის მდგომარეობის შესახებ:

— ჩვენ წავიკითხეთ, რომ სოც.-დემ. პარტიის წევრი ტიუსარი გახდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დოქტორ კრამარჟის შემდეგ?

— ო, არა! უპასუხა ემეცმა. გარემოებამ გვაძულა ერთ ერთ წევრისთვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა დაგვევალებინა, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენ არა გვყავს ერთგვარი მთავრობა, არც უმრავლესობა ამ მთავრობის შემადგენლობაში. კაბინეთის 15 წევრიდან მხოლოდ შვიდია სოციალისტი, და ამ შვიდი სოციალისტიდან მხოლოდ სამი ეკუთვნის ჩვენს პარტიას, დანარჩენები კი სოციალისტურ პარტიას ეკუთვნიან, ორი მთავარი გარემოება იყო მიზეზი კაბინეტის შემადგენლობის შეცვლისა, ერთის მხრივ, ჩვენმა ჯარისკაცებმა გვაგრძნობინეს, რომ ისინი ნებას არ მისცემენ არვის რომ მათით ისარგებლონ როგორც დენიკინისა და კოლჩაკის ჯარებით. ხოლო როცა მინისტრთა საბჭოს ძველი თავმჯდომარე კრამარჟი დაპირდა ანტანტას, რომ მას იმედი ექნება ჩვენი ჯარის, მაშინ ის მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

მეორე მხრივ, მუნიციპალურ არჩევნებმა დიდი გამარჯვება მოუტანეს ს.-დ. პარტიას. აირჩიეს ბევრი ქალებიც, სამ ქალაქში ქალაქის მოურავებად ქალები არიან.

ჩვენი მდგომარეობა უფრო უკეთესი იქნებოდა, თუ პარლამენტის არჩევნები მოხდებოდა. მაგრამ დღევანდელი ეროვნული კრება, რომელიც ამუშავებს კონსტიტუციის საბოლოო ტექსტს არ იყო არჩეული ხალხისაგან; მისი დაფუძნება იყო შედეგი სხვა და სხვა პარტიების შეთანხმებისა რომელთაც ადგილების გარიგების საფუძვლად მიიღეს შედეგები უკანასკნელ არჩევნებისა ომიანობამდე. კონსტიტუცია მაინც ღრმა დემოკრატიული და რესპუბლიკანური იქნება, ორივე სქესს ექნება ხმის აქტიური და პასსიური უფლება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საპარლამენტო არჩევნები ღვინობისთვესა ან გიორგობისთვეში მოხდება. მხოლოდ ამ არჩევნების შემდეგ გამოირკვევა პოლიტიკური მდგომარეობა. შესაძლებელია, რომ ორივე სოციალისტური პარტია ერთად მიიღებს უმრავლესობას, რაც ნებას მოგვცემს შევცვალოთ კაბინეტი, რომელშიც ამ ჟამად ერთი აგრარი—რეაქციონერი. შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილზე ბრძანდება.

ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, როგორც ყველგან, მეტად მძიმეა. უმუშევრობა საოცრებამდე მიდის. საგრძნობელია ნედლი მასალის უქონლობა. ცხოვრების სიძვირე აუტანელია. აგრარიებმა ამასწინათ სცადეს ფასების ისევ აწევა, რათა კიდეც ჰქონდათ გეგმა შემუშავებული. ს იყო სწორედ მაშინ, როცა ტიუსარმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა. საბედნიეროდ ჩვენ შევძელით აგრარიების განზრახვა ჩაგვეშალა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომ ასეთი ძალა უფლება არის ერთ ერთ ჩვენი წევრის ხელში, ჩვენ შევძელით ფასების დაწევა! ამ შემთხვევაში მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია დეკრეტების გამოცემით.

ერთად ერთი საშუალებაა—გაძლიერება მრეწველობისა და უწესრიგობის მოსპობა. რაც შეეხება ჰერცოგის ხელში ჰუნგარეთის ძალაუფლების გადასვლას იმეცმა სთქვა: „ეს ჩვენ გვაღელვებს. ჰაბსბურგი ყოველთვის ჰაბსბურგად დარჩება.“

ბოლშევიკების ცნობები საქართველოზე

ბოლშევიკების დეპეშებში საქართველოზე შემდეგი ცნობაა მოთავსებული. „საქართველოს მთავრობამ ინგლისელთა სარდლობას სთხოვა რომ ინგლისის ჯარს ნება მიეცეს დარჩეს საქართველოში.

როგორც თეთრ გვარდიელთა გაზეთი „ვეჩერნოე ვრემია“ სწერს საქართველოს მთავრობამ ნახევარი მილიონი გადასდო ბოლშევიზმთან საბრძოლველად. მთავრობა აცხადებს რომ იგი დენიკინმა აიძულა ასე მოქცეულიყო“.

სვანეთის არჩევნები

(დეპეშა)

რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო. ცაგერი. არჩევნები სვანეთში დასრულდა. ყველაზე მეტი ხმები მიიღო მეორე ნომერმა. კომიტეტი.

აღმაშფოთებელი პროვოკაცია

ნ. ბარათოვის და ოდიშელიძის მოკვლის განზრახვა.

გუშინ 13 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე ვერის დაღმართზედ ორმა ბოროტმოქმედმა ორი ბომბა ესროლეს სამხედრო სამინისტროს ავტომობილს, რომელშიც ისხდნენ მოხალისეთა ლაშქრის წარმომადგენელი გენ. ბარათოვი და გენერალი ოდიშელიძე.

ავტომობილი, რომელშიც გენერლები იყვნენ, სრულებით დაიმსხვრა და მძიმეთ დაიჭრა გენ. ოდიშელიძე და შოფერი, ხოლო გენ. ბარათოვი მსუბუქად დაჭრილი თვით შევიდა მახლობელ აფთიაქში, ქუჩის შესახვევად. არიან დაჭრილნი რამოდენიმე სხვა ქუჩაში მიმავალნიც.

ბოროტმოქმედნი სირბილით გაემართნენ ვერის დაღმართით, მაგრამ ერთი მათგანი მოკლული იქმნა მიმავალ ოფიცერის მიერ. მოკლული აღმოჩნდა ბოლშევიკი, მეორე მსროლელი, დაჭრილი იქმნა, რომელსაც ვერის ხიდიდან მტკვარში სურდა გადახტომა, იგი აღმოჩნდა ტომით სომეხი, მაგრამ გვარი ჯერ ჯერობით გამორკვეული არ არის.

საქმის გამოსარკვევად, ადგილობრივ გაემართნენ ბრალმდებელი, სასამართლოს და ადმინისტრაციის წარმომადგენელნი და ვერის დაღმართი ალყაშემორტყმულ იქნა თბილისის მილიციის მიერ, მილიციის უფროსის მეთაურობით.

ნახ. საათის განმავლობაში სროლის ადგილას იყვნენ მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ჟორდანია, გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი ვალ. ჯუღელი და სხვა მაღალი თანამდებობის პირნი.

მომხდარმა ამბავმა დიდად აღაშფოთა ქართველი საზოგადოების ყველა წრეები და ერთიანი ფიქრია, რომ უმზგავსო პროვოკაციით სურდათ მოეწყოთ ეს ავი საქმე.

ის ცნობა, რომ რამოდენიმე დღის წინეთ ბაქოშიც, მოხალისეთა ლაშქრის წარმომადგენლის ბინაზედ აღმოაჩინეს „ჯოჯოხეთის მანქანა“. იძლევა საბუთს ვიფიქროთ, რომ უნდა არსებობდეს ერთი ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც აწყობს თავის ავ საქმეებს პროვოკაციული მიზნებით.

მომხდარი ამბავის გამოსაძიებლად, უკვე მიღებულია სასტიკი ზომები და საზოგადოებრივი აზრი ითხოვს, რომ დამნაშავენი დასჯილი იყვნენ მთელი სისასტიკით და თბილისი სრულებით გაწმენდილი იქნეს ელემენტებისაგან, რომელნიც [illegible] ხიფათში აგდებენ ჩვენს სახელმწიფოს თავიანთი ბნელი საქმეებით.

ქრონიკა

✦ **დელეგაცია სადარბაზოდ.** 12 ენკენისთვეს საგარეო საქმეთა მინისტრს ნაშუადღევის 12 საათზე აჭარელთა დელეგაცია ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილის მეთაურობით სადარბაზოდ იყო საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ე. გეგეჭკორთან.

✦ **რაუტი.** გუშინ 13 ენკენისთვეს ნაშუადღევის 3 საათზე, სასტუმრო „ორიანტში“ მთავრობამ გაუმართა გამოსათხოვარი რაუტი სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის წარმომადგენელთ. რაუტს დაესწრო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ნ. ჟორდანია.

✦ **დელეგაციების გამგზავრება.** გუშინ 13 ენკენისთვეს საგანგებო მატარებლით საღამოს გაემგზავრნენ თბილისიდან აჭარელთა და ბათომელთ დელეგაციათა წევრნი.

სამინისტროებში.

✦ **საქონლის გატაცება.** სიღნაღის ერობის გამგეობის წევრი ახმეტელაშვილი დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ 3 და 4 ენკენისთვეს ყაზახის მაზრის მცხოვრებმა გაიტაცეს იქრიდან და ელდარიდან 83 საქონელი და ექვსი კაცი ტყვეთ.

✦ **სამართალში მიცემა.** მიწად-მოქმედების მინისტრის განკარგულებით სასამართლოს ბრალმდებელს გადაეცა მთელი მასალა, რომელიც შეაგროვა საგანგებო კომისიამ ბორჩალოს მაზრაში მდებარე გიაურარხის სახელმწიფო მამულის რევიზიის შემდეგ. პასუხის გებაში მიცემულ არიან ამ მამულის ყოფილი გამგე ნ. ქ. ანდრონიკაშვილი მისი თანაშემწე მაჩაბელი და მოსამსახურენი ფილიავანდიშვილი და ფავლენიშვილი.

✦ **ყაჩაღთა შეპყრობა.** დუშეთის ერობის გამგეობის თავმჯდომარე დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ გამგეობის წევრის გრიგოლ ფარნიევის მეთაურობით სახალხო გვარდიელებისაგან შემდგარმა რაზმმა მაზრის კომისართან ერთად ათი დღის ექსპედიციის შემდეგ ჩამოიყვანა დუშეთში ექვსი ფრიად მნიშვნელოვანი ყაჩაღი რომელთაც ბრალი ედებათ მილიციონერ ბერიძის მკვლელობაში მონასტრის საზოგადოების კანცელარიის და კოოპერატივის დაწვაში და საფეიქროს დარბევაში.

✦ **გაქცეულ ტუსაღთა შეპყრობა.** გორის მაზრის კომისარი ქარცივაძე დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ს. ბრილში შეიპყრეს გორის საპატიმრო ციხიდან გაქცეულნი სამსონ გოგოლაძე და გიორგი ტაბატაძე.

✦ **ცეცხლის ზარალი.** საგანგებო კომისია, რომელიც მიწადმოქმედების მინისტრის განკარგულებით გამგზავრებული იყო კოჯორში ცეცხლისაგან დაზარალებულ ქონების აღწერათ დაბრუნდა. ცეცხლს უმსხვერპლია ერთი აგარაკი—ორ-სართულიანი სახლი 4 ოთახით და მთელი ავეჯეულობით. ცეცხლი გაჩენილა გაუფრთხილებლობის გამო. ზარალი 250 ათას მანეთამდეა.

✦ **სახოფლო სამეურნეო სკოლა.** მიწათ-მოქმედების მინისტრმა სცნო სასურველად მომავალ წლის 1 იანვრიდან გაიხსნას ქ. ლანჩხუთში სასოფლო სამეურნეო სკოლა იმ პირობით, რომ სწავლა 1920 წლ. 1 ენკენისთვიდანვე დაიწყოს. ის ნაკვეთი მიწისა რომელიც მიუზომა ამ სკოლას ლანჩხუთის ქალაქის თვითმართველობამ საჩინოდ რომ შესაფერისათ იქნა, მხოლოდ მცირედაა. ქალაქის თვითმართველობამ რომელმაც შესწირა 50 ათასი მანეთი თანხმაა მოუმატოს ამ მიწის ნაკვეთს კიდევ საკმაო ნაკვეთი გაწმენდილი ეს მამული და შემოღობილი. სასურველადაა ცნობილი, რომ ერთ მეოთხედ ხარჯებში მონაწილეობა მიიღოს ერობამ, სოფლის საზოგადოებამ და ამ მაზრის კოოპერატივებმა. სამინისტროში მუშავდება ამ სკოლის წესდება სარეწაოსაკლო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

✦ **სამაჰმადიანო საქართველოს დელეგაცია პოლ. ჰასკელთან და უორდროპთან** 12 ენკენისთვეს სამაჰმადიანო საქართველოს დელეგაციამ ინახულა ამიერ კავკასიის უმაღლესი კომისარი პოლ. ჰასკელი და ინგლისის მისიის თავმჯდომარე უორდროპი, და ჰქონდა მათთან ხანგრძლივი საუბარი ბათომის ოლქის მაჰმადიანთა 31 აგვისტოს ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციის გარშემო. პოლ. ჰასკელმა და უორდროპმა თანაგრძნობით მოუსმინეს მათ და ყოველივე დახმარება აღუთქვეს.

✦ **ინგლისელთა მიერ განთავისუფლებულ ბინების შესახებ.** ქალაქის გამგეობის საბინაო კომისიამ აცნობა სახლის პატრონებს არ გააქირაონ უნებართვოდ ის ბინები, რომელნიც ინგლისელებმა გაანთავისუფლეს.

✦ **თბილისის** მიწად-მზომელთა და ტაქსატორთა სასწავლებელში მიღება პირველ კლასში გაგრძელებულია პირველს ოქტომბრამდე ამ ჟამად გახსნილი არის პირველი და მეორე კლასი, სწავლის ფასი 209 მანეთი წელიწადში, გამოცდები შემომსვლელთათვის უმაღლეს პირველ დაწყებითი და ქალაქის სასწავლებლების კურსის ფარგლებში.

✦ **დამფუძნებელ კრების ოქმების** შემდგენლებად მიღებულ არიან: შალვა აფხაიძე, დიმიტრი ბარნაბიშვილი, ტერენტი ტყემალაძე, ალექსანდრე ეპიაშვილი, გრიგოლ მარინაშვილი, მარიამ ცაცაშვილის ასული, აკაკი სიგუა, ალექსანდრე ცირეკიძე კონსტანტინე ვეფხვაძე, ლიდია პაპასკირი, ანნა [illegible] ასული, მამია ხუხუნაიშვილი, გიორგი კიკნაძე მოხივენელი იყო 124. გამოცდას დაესწრო 80. ჩაწერილი სიტყვა აღადგინა 44-მა, მიღებულია 13.

✦ **დამფუძნებელ კრების ოქმების** შემდგენელთ სთხოვენ გამოცხადდნენ სასახლეში დღეს დილის 10 საათზე.

წ.-კ. გამ. საზოგ.

✦ **სახელმძღვანელოთა დაბეჭდვა.** წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ დაამთავრა სკოლებში სახმარ სახელმძღვანელოთა ბეჭდვა. დაბეჭდილია რამოდენიმე ასი ათასი ცალი სხ. და სხ. სახელმძღვანელი.

✦ **დახმარება ფულით.** წერ. კით. გამ. საზოგ. განათლების სამინისტროდან მიიღო 200,000 მ. სახ. წიგნების დასაბეჭდად.

✦ **გვარდიელთა ყრილობა.** დღეს დილის 10 საათზე ზუბალაშვილის სახლობის სახალხო სახლში, გაიხსნება სახალხო გვარდიელთა წარმომადგენელთა კონფერენცია.

✦ **ტუსაღების გაქცევა.** საპყრობილეთა ინსპექტორი [illegible] სამინისტროს ატყობინებს, რომ ამ დღეებში სიღნაღის ციხიდან გაქცეულა 8 ტუსაღი.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის [illegible] მოთავსებულ წერილში „რად წამართვეს თავისუფლება“ ბევრი კორექტურული შეცდომებია. შეპარული რადგან წერილი რუსულიდგან არის თარგმნილი.

პროვინციის ცხოვრება

ს. სვირი

(იმერეთი)

ს. სვირის გზაზე მოჰკლეს ფარსადან და ილიკო ნიკოლაძეები. მიღებულია სასწრაფო ზომები. დაპატიმრებულ მკვლელები ს. სიმონეთის მცხოვრებნი ირ. ნიკოლაძე და იოსებ ბოგველიძე.

ს. ქიქასხიძი

ს. ქიქასხიძის მცხოვრებმა პოლ. გიორგაძემ ეკლესიის ეზოში მძიმედ დასჭრა ხანის მცხოვრებნი ამირახი და იასონ ნაჭყებიშვილები, 3 რვილი უკვე გარდაიცვალა. მკვლელი მიიმალა.

ჯარის „რეფორმის“ ერთი შედეგთაგანი

ჯარის „რეფორმის“ გამო გაუქმებულია ის თანამდებობა შტაბის ისტორიულ განყოფილებაში, რომელიც ებარა ცნობილი საქართველოს მკვლევარს პოლკოვნიკ აქსენტი აბესაძეს.

პოლკ. აბესაძე გარდა იმისა, რომ ნიჭიერად სწერს ისტორიულ გამოკვლევებს განსაკუთრებით საქართველოს რუსეთთან შეერთების ეპოქას, არის კადრის ოფიცერი რომლის საგმირო საქმეზე ლაპარაკობდენ „ნოვოე-ვრემია“ და „რუსსკოე სლოვო“ პოლკ. აბესაძე რუსეთის დასავლეთ ასპარეზზე. და ახლა იგი ჯარის რეორგანიზაციის გამო გაძევებულია შტატს გარეშე და ეს ხდება მაშინ, როცა თვითეული მისთანა პიროვნება ასე საჭიროა რესპუბლიკის ჯარის აღზრდისა და განმტკიცებისათვის.

თანამედროვე გერმანია

ერთ ერთ ფრანგულ გაზეთში („საზოგადოებრივი წესრიგი“) როლან დერბლი გერმანიაზე სწერს: „გერმანიის დამარცხების ერთ ერთ უმთავრეს შედეგად ჩაითვლება ის მამულიშვილური გრძნობის კრიზისი, რომელმაც მთელი გერმანიის ხალხი მოიცვა.

9 გიორგობისთვის რევოლიუციამ, რომელიც სპარტაკელებმა კინაღამ არ მოსპეს, სრული ინდიფერენტიზმი გამეფა“.

როლან დერბლი აღნიშნავს, რომ ყველა ქალაქებში, რომელიც მან მოიარა თავის მოგზაურობის დროს, ნეშტადტში, ლუდვიგსჰაფენში, მაინცში ან კელნში იგი ერთნაირად „განწყობილ ხალხს ხვდებოდა. „რომელ წრისაც არ უნდა ყოფილიყო ჩემი მოსაუბრე მხოლოდ ერთი პასუხი მესმოდა მისგან: „მე პატრიოტი აღარ ვარ“. პრუსიის პოლიტიკურ წრეებს უკვე შეუნახავთ ის დროინდელი ერი ვიდრე სხვებს. მათი პატრიოტიზმი გამოსჭვივის მათ მისწრაფებაში, რომ პრუსია კვლავ იხილონ მთლიანი და განუყოფელი მეთაური ყველა გერმანულ ტომთა.

მაგრამ პრუსია მარტოდ მარტოა, მას მხარს არ უმაგრებენ მოძმეები“.

დაღესტანის დასაპყრობად

როგორც იალმიდან ბაქოში ჩასული მგზავრები „ზნამია ტრუდა“-ს რედაქციას გადასცემენ მოხალისეთა სარდლობას აზერბაიჯანის საზღვრიდან მოუხსნია 4 ეშელონი ყაზახებისა და დაღესტნის დასამშვიდებლად გაუგზავნია.

„წითელი დროშა დაეცა“

ამ სათაურით „ტაიმს“ მარიამობის 7-ის №-ში მოთავსებულია ცნობა ჰუნგრეთის ამბების შესახებ. ცნობაში მოთავსებულია საბჭოთა უკანასკნელი წუთები ჰუნგრეთში და ამ მხრით საერთო ინტერესს არ არის მოკლებული.

ბუდაპეშტი ბელა კუნის წასვლა არ იყო მოულოდნელი ფაქტი ბუდაპეშტის მცხოვრებთათვის, რომელთაც კარგად უწყოდნენ, რომ ვენაში მოლაპარაკება სწარმოებდა ერთი მხრით ჰუნგრეთის სოც.-დემოკრატიული პარტიისა და მეორე მხრივ ანტანტის წარმომადგენელთა შორის. საბჭოთა მთავრობის გადადგომა სწორედ იმ დროს მოხდა, როცა სამხედრო მინისტრმა მ. იოსებ ჰაუბრიხმა ქალაქში სამხედრო წესები გამოაცხადა და მცხოვრებლებს აუკრძალა სახლიდან არ გამოსულიყვნენ. მარიამობისთვის 1-ს წესრიგის აღსადგენად ზომები მიიღეს,

არავითარ შეტაკებას ადგილი არა ჰქონია და ისეთ შთაბეჭდილება შექმნა, რომ სისხლის ღვრა თავიდან აცილებული უნდა ყოფილიყო. წითელ არმიელთაგან უკიდურეს ელემენტს იარაღი აჰყარეს. კომუნისტების ლიდერთა ასეულები ისე, როგორც მრავალი აგიტატორი და ოფიციალური პირნი ბუდაპეშტიდან გაიქცნენ და სადღაც დაიმალნენ.

წითელი დროშები დღეს დილით ყველამ ჩამოხსნა.

ახალ მთავრობის წევრები მუშაობას დღეს იწყებენ.

ბელაკუნი სადღაც გაქრა. ერთი ცნობით იგი ავსტრიაში გაქცეულა, მეორე ცნობით კი წითელ ჯართან შესაერთებლად რუმინეთის მხრით წასულა.

ვილსონი და ხელშეკრულება

(მოკ. ცნობა)

ვილსონის მომხრეები სენატში ცდილობენ, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება სენატმა შეუცვლელად დაამტკიცოს. პრეზიდენტ ვილსონმა განაცხადა, რომ ყოველგვარი დამატება ან შემოკლება აიძულებს მოკავშირეებს რომ გერმანიასთან მოლაპარაკება განაახლონ. „თუ რაიმე ცვლილება იქნება შეტანილი ხელშეკრულებაში, სთქვა ვილსონმა, მაშინ მე აღარ გავრევ ასეთ ზავში და ლიგასა და ნიკს გავგზავნი პირდაპირ ბერლინში სრულიად ახალ ხელშეკრულების დასადებად. სენატმა რომ ხელშეკრულება შესცვალოს გერმანია მიაღწევს თავის უფლებებს და პირობებს შეიმსუბუქებს“.

ამავ დროს სენატორნი, ვილსონის მომხრენიც კი ჰფიქრობენ, რომ შეუცვლელად ხელშეკრულების დამტკიცება შეუძლებელია.

ჰფიქრობენ, რომ ვილსონის დენება უეჭველად იმით დაბოლოვდება, რომ ამერიკა გერმანიას სეპარატიულ ზავით შეეკვრის.

ამირალი კოლჩაკი და პოლონეთი

(მოკ. ცნობა)

ამირალი კოლჩაკმა პოლონეთის მთავრობას შეატყობინა, რომ „რუსეთმა“ პოლონეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ამის გამო კოლჩაკი ჰპირდება, რომ ვარშავაში რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს დანიშნავს.

ფონ-დერ გოლცის გაწვევა

გუშინდელი დეპეშებიდან სჩანს, რომ გენ. ფონ-დერ გოლცის ჯარი ბალტიის პროვინციაში ერთგვარ მერყეობას განიცდის. როგორც მოკავშირეთა მისიის ცნობებიდან სჩანს გერმანიის მთავრობას ამ მდგომარეობისთვის ყურადღება მიუქცევია და ფონ-დერ გოლცი ბერლინში გაუწვევია. ამ რიგად გოლცი მთავარ სარდლობიდან სრულიად გადაყენებულია.

Amicus Plato sed magis amica veritas.

(მიყვარს პლატონი, მაგრამ უფრო მეტად სიმართლე).

ამ რამდენიმე კვირის წინ გაზეთ „ჩვენ ქვეყანაში“ მოთავსებული იყო ბ. დ. მხეიძის განცხადება; „ქუთაისის 1-ლი საერთო განათლების კურსები (უფლებებით) გამოცდები, სიმწიფის მოწმობის მისაღებად უკვე დამთავრდა და სხვ.“ ვერ გაგვიგია რად დასჭირდა ბ. მხეიძეს პირველობის სახელით მონათვლა ჯანელიძის შენობაში მოთავსებული კურსების. თუ ის გულისხმობს ამ კურსებზე სწავლა-აღზრდის მხრივ პირველობას, ამაზე ჩვენ ჯერ-ჯერობით არას ვიტყვით, ხოლო რაც შეეხება კურსების გახსნის პირველობას დროის მიხედვით მოვახსენებთ საზოგადოებას, რომ ბ. მხეიძის კურსები ამა წლის მარტში გაიხსნა მასწავლებელთა კოლეგიის კურსები კი უკვე მესამე წელიწადია, რაც არსებობს. სიმართლის აღსადგენად ჩვენ საზოგადოებას განვუმარტავთ კოლეგიის კურსების curiculu vitae.

1917 წელს ზაფხულში ბ. მხეიძემ და მასთან ერთად რამოდენიმე მასწავლებელმა ქუთაისში კოლეგიის სახელზე ყოფილ სათავად აზნაურო გიმნაზიის შენობაში საზოგადო განათლების სალამოს კურსები გახსნა; ამავე წლის ოქტომბერში ამ კურსებზე მოხდა პირველი „გამოშვება“. 1918 წ. მარტში თანხმად სამისწავლო კომისარიატის დადგენილების მეორე იგრედ წოდებული „დოსროჩნი ვიპუსკი“ მოხდა. შემდეგ ამ მეორე „ვიპუსკისა“ ამხანაგების ნება დაურთველად და დაუკითხავათ 1918 წლის ივნისის 30-ს ყოფილ კომისარიატისთვის ბ. მხეიძეს მიუცია შემდეგი შინაარსის თხოვნა: „Кутаисскiе общеобразовательные и дополнительные курсы, открытые коллегiей преподавателей, прошу переименовать въ общеобразовательные курсы Д. С. Мхеидзе“. ეს თხოვნა შეცდომით დაკმაყოფილებულ იქნა კომისარიატის მიერ იმავე წლის 6 ივლისს. თხოვნიდან ცხადათ სჩანს, რომ კურსები კოლეგიის ეკუთნოდა და არა პირადათ ბ. მხეიძეს; რომ კურსები პირადათ ბ. მხეიძეს არ ეკუთვნოდა, ამას ის გარემოებაც მოწმობს, რომ „ვიპუსკის“ მოწმობებზე პირდაპირ სწერია: Курсы, находящiеся въ заведенiи Д. С. Мхеидзе. არც ამ თხოვნის შეტანა, არც პასუხი ბ. მხეიძეს ამხანაგებისათვის არ გაუმხელია, თუმცა პასუხის მიღების შემდეგ მეორე თვე გავიდა. თხოვნის შინაარსი და მისი პასუხი კოლეგიამ მხოლოდ იანვარში გაიგო, როდესაც ერთ-ერთ კოლეგიის წევრს კურსების საქმეების გამო მიუხდა თბილისში ყოფნა.

გარდა იმისა, რომ ბ. მხეიძის ამნაირი მოქცევა ამხანაგებისადმი კოლეგიის საწყენად დარჩა, იგი ხედავდა, რომ კურსებზე შეცადინობა ცუდად მიდიოდა და მსმენელთა შორის უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა; ამას მოწმობს 29 დეკემბრის 1918 წლ. ოქმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ თუ კურსების გამგეობა კოლეგიის ხელში არ გადავიდა როგორც სწავლა-აღზრდის მხრივ ისე, საოჯახო ნაწილის მხრივ მთელი პედაგოგიური საბჭო გადადგება სამსახურიდან; ამ ოქმს ხელს აწერენ მთელი კურსების კორპორაცია, რომელნიც 11 მასწავლებლისგან შედგება. შემდეგ ამისა კოლეგია იძულებული შეიქნა მიეღო კანონიერი ზომები, რათა გამგებლობა და საოჯახო ნაწილი ჩამოერთმიოდა ბ. დ. მხეიძეს, და აი 1919 წელს იანვრის 18-ს № 331 განათლების სამინისტროს საბჭოს დადგენილებით მას ჩამოერთვა ყოველივე უფლება კურსებისადმი და თანხმად კომისარიატის პირველი დადგენილებისა აღდგენილ იქნა კოლეგიის კურსების უფლებები. ამ დღიდან ბ. მხეიძეს მოსვენებას არ აძლევს ახალი კურსების გახსნის სურვილი.

ახალი კურსების გახსნის უფლება მან მიიღო, და აი 1919 წ. თებერვლის თვის ადგილობრივ გაზეთში ვკითხულობთ განცხადებას, რომ იგი თბილისის ქუჩაზე დ. ჯანელიძის შენობაში ხსნის კურსებს. რა მიზეზებმა შეუშალა ხელი თბილისის ქუჩაზე კურსების გახსნას, ჩვენ არ ვიცით, ხოლო, იგი მარტში ხსნის რეალურ სასწავლებლის შენობაში ვითომ და „პროფესორების კურსებს“.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, საზოგადო განათლების სალამოს კურსები თბილისში გახსნილი აქვთ პროფესორებს: ბ. ბ. დ. უზნაძეს, გ. ახვლედიანს და ვგონებთ შ. ნუცუბიძეს. ამბობენ, რომ სანამ ბ. მხეიძე იძულებით გადაიტანდა რეალური სასწავლებლიდან ჯანელიძის შენობაში კურსებს, მას კიდევაც ჩამოეყვანა ერთი პროფესორი, რომელსაც ლექცია ვითომ წაეკითხა ბ. მხეიძის კურსების მნიშვნელობის შესახებ. არ ვასახელებთ ამ პროფესორს (nomina odiosa) ხოლო საბუთები (დეპეშები და წერილები) ხელთა გვაქვს და ვიცით, რომ ბ. უზნაძეს და ახვლედიანს არც გახსნაში [illegible] და გამგეობა მიუნდვიათ ბ. მხეიძისთვის და არც არავითარი კავშირი აქვთ მის მიერ გახსნილ კურსებთან. დასამტკიცებლად იმისა, რომ მასწავლებელთა კოლეგიის კურსები ძველია და სწორედ ამ კურსებზე მოხდა მსმენელთა მესამე „ვიპუსკი“. ჩვენ გვაქვს კიდევ ორი საბუთი: ამ 1918 წლის 16 დეკემბრის № 5164 განათლების სამინისტროს საბჭოს დადგენილება; ამ განკარგულების შინაარსი ბ. მხეიძეს ახსოვს და მშვენივრად იცის, რომ ეს სამინისტროს დადგენილება ჩვენ ძველ კურსებს ეხება და არა მარტში მის მიერ გახსნილს. აი ამ განკარგულების შინაარსიც: „როდესაც კურსების პედაგოგიურმა საბჭომ აღძრა შუამდგომლობა ნოემბერში მსმენელთა გამოცდების შესახებ, პედაგოგიურმა საბჭომ მიიღო მაშინდელი გამგის სახელობაზე ქაღალდი, რომელიც კოლეგიის კურსების კანცელარიაში ინახება, 21 ნოემბრის თარიღით № 16, რომ ვინაიდან არცერთი მუხლი რწმუნებული კურსების მართვა-გამგეობის წესდებისა არ არის სათანადოდ დაცული და [illegible] სასწავლო ნაწილების კანონიერება დარღვეულია, თანახმად განათლების სამინისტროს საბჭოს 7 დეკემბრის დადგენილებისა, კურსებზე მიმდინარე წლის სასწავლო გამოცდები დაინიშნა და ნება მხოლოდ მარტში 1919 წელს. ჩვენ ისიც ვერ გაგვიგია, რა ნაირად მოხდა გამოცდები ჯანელიძის შენობაში მოთავსებულ კურსებზე, რადგანაც იმ ინსტრუქციაში, რომელიც სამინისტრომ ბ. დეპუტატს მისცა ქუთაისის კერძო სასწავლებლებში გასათავებელ „გამოცდების“ მოსახდენად სრულიად არ არის მოხსენებული ბ. მხეიძის კურსები. ბ) ჩვენ გვაქვს სამინისტროს მიერ მარტში გამოგზავნილი დეპეშა, სადაც ნათლად არის ნათქვამი, რომ კოლეგიის კურსები რჩება ძველ პირობებში, მხეიძის კი იხსნება სრულიად ახლა, ერთს მეორესთან არავითარი კავშირი არ აქვს. მაშასადამე, მასწავლებელთა კოლეგიის კურსები არის სწორედ ის პირველი კურსები, რომლის შებღალული უფლებები განათლების სამინისტრომ აღადგინა 1919 წლის 18 იანვარს № 331 და მესამე „ვიპუსკიც“ კოლეგიის კურსებმა მოახდინა და არა იმ კურსებმა, რომელიც ჯანელიძის შენობაში არის მოთავსებული.

მასწავლებელთა კოლეგიის კურსების გამგე **მიხეილ თმ. ჩიხლაძე.**

ჩრდილო კავკასიის ხალხები

I. ჩაჩნები

ჩაჩნების ვრცელი მიწა საქართველოს გადაღმაა. თერგს აქეთ მასში მდინარის სუნჯის შესართავამდე. დასავლეთით უძევს ყაბარდო და კალმუხეთი, სამხრეთით დაღისტანი და საქართველო ითვლება თითქმის ნახევ. მილიონ სულამდე.

ქვეყანა მათი დაბლობებში ფრიად მოსავლიანია, მთებისკენ და მთათა ღელეებში ულრან ტყით დაბურული და მიუვალი.

სამშობლოს სიყვარული მათი უმთავრესი უწმინდესობაა.

ჩაჩანი უხუცესის (კეთილშობილი) წინაპარნი, გადმოცემით, საჩაჩნოში მისულან საქართველოდგან. მათს ენაში შეინიშნება ქართული ენის ნაშთები, მაგრამ ეს შედეგია კულტურის ზეგავლენისა და არა მათ მახლობელ მონათესაობისა.

ჯერ საქართველოს დაჭერამდე რუსებმა ჩრდილოეთ კავკასიაში გაიჩინეს თავისი სამხედრო ხაზი და შეუკრეს მთიელებს ბარში ჩამოსასვლელი გზები. ეს ხაზი უფრო შევიწროვეს მას შემდეგ, რაც ფეხი მოიკიდეს საქართველოში.

რუსებს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ჩრდილოეთი კავკასია დაყოფილი იყო მრავალ სახანოებად, საშამხლოთ, [illegible], სამთავროდ, ამათ მეთაურებს ცალკ-ცალკე ადვილად იმორჩილებდა რუსეთი, მაგრამ ხალხი კი თითქმის ყველგან წინააღმდეგი იყო რუსის ბატონობისა და დიდხანს თავგანწირულად იბრძოდა მასთან თავის თავისუფლებისთვის.

ასე მიდიოდა საქმე 1816 წლამდე. ამ წელს კი რუსთა მთავარსარდალმა თავის ხელმწიფეს მოახსენა: „მთიელები უნდა დავიმორჩილოთ. მაგრამ რა ზომებით? იქამდე ჩვენი ჯარები შეესეოდნენ ხოლმე თვით მათს მიუვალ ქვეყნებში, მაგრამ მთელი ხალხი, როგორც ერთი კაცი, [illegible] ჩვენ წინააღმდეგ [illegible], რომლით კი არ უნდა დავიპყრათ ისინი, არამედ ხერხით: მათ მიწა-წყლის მოხერხებულ ადგილებში უნდა ავაგოთ ციხე-სიმაგრეები, გავუჩეხოთ ტყეები, შევუკრათ ყველა გამოსავალი გზები, გავუჭრათ საქმე და [illegible] შევავიწროებთ, დაგვნებდებიან.“

ხელმწიფემ მოუწონა [illegible] მზაკვრული დაწყობილება. გადავიდნენ რუსები და საჩაჩნოს ნაპირზე ააგეს მთელი რიგი ციხეები, შეგზავნეს გენერალი და გადაკაფეს ულრანი ტყეები.

ხალხი მიხვდა, რომ მას უმზადებდნენ სიკვდილს, რომ იგი მალე დაიმონებოდა. დაღისტანიც აიშალა, რადგან საჩაჩნო ითვლებოდა ყველა მთიელთა ბუდედ.

გამოჩნდა მრავალი გამბედავი გმირი, რომელსაც მიჰყვნენ დანარჩენები. აგეთივე საჩაჩნოში იყო ბეი-ბულატ თაიმაზოვი, მეურტოფელი.

ეს იყო დიდი ვაჟკაცი. გამოაცხადა, მაურტუპში 1721 წელს 24 მაისს ახალი წინასწარმეტყველი გამოჩნდება.

მოიყარა თავი ხალხმა დანიშნულ დღეს, ელოდნენ წინასწარმეტყველის მოვლენას.

უცებად გაიღო მეჩეთის კარი და იქიდგან სხვებთან ერთად გამოვიდნენ მოლა მაჰომა, თვით ბეიბულატი. გაიშურნენ წმინდა ხისკენ. კარგა ხანს სიჩუმე სუფევდა. ერთმა იკითხა, სად არის აღთქმული წინასწარმეტყველი?—მე ვარი, წამოიძახა მოლა მაჰომამ. მე ბეიბულატმაც უთხრა ხალხს: მე თვითონ დავინახე, მაგის თავზე ჩამოსული ანგელოზი. ხალხმა ირწმუნა წინასწარმეტყველი, რომელმაც იქვე გამოაცხადა „ყაზავათი“, ე. ი. გიაურებთან ბრძოლა ქუდზე კაც-გამოსვლით.

მალე მოლა მაჰმას 6,000 კაცისაგან შემდგარი რაზმი მიეხმარა რუსების სიმაგრეებს და ზოგი დაიპყრა.

თვით ბეიბულატი მიუხდა მათს მიწაში აგებულ ციხე გროზნას. დიდი შიში გამოიწვია ამისთანა გმირულ თავდაცემამ, მაგრამ მალე რუსებს მეშველნი შემოემატნენ და ბეიბულატი და მოლა მაჰომა უკან დაბრუნდნენ. რუსები მიჰყვნენ მათ და დიდი ზიანი მიაყენეს ჩაჩნის ხალხს. მოლა მაჰომა მთებში შეიმალა, ხოლო ბეიბულატი 1831 წელს მოჰკლა,—აღმათ მოსყიდულმა,—სალატაიელმა. მაგრამ მათი დაწყებული საქმე მათთანერთად არ ჩაქვრა, არამედ მალე მრჩობლად აღორძინდა.

მ. ჯანაშვილი.

ინგლისი და ბოლშევიკები

(გერმანული ცნობა).

ჰელსინგფორსში, ინგლისის წარმომადგენელმა განაცხადა: „ინგლისი აღარ მიიღებს ბოლშევიკების წინააღმდეგ აქტიურ მონაწილეობას, ვინაიდან ამ გვარ შეხედულებას ინგლისის პოლიტიკურ წრეებში მიმდევარი აღარ ჰყავს. გარდა ამისა, ჯარს, რომელმაც განვლილ ომებში გაჭირვება გადაიტანა, დასვენება ეჭირვება. ამის გამო ინგლისი სწყვეტს ყოველგვარ სამხედრო მოქმედებას ჩრდილოეთ რუსეთში, მურმანის ფრონტიდან ინგლისის ჯარების ევაკუაცია უკვე დაიწყო და მისი დასრულება დიდ დროს აღარ მოითხოვს. არავითარ შემთხვევაში ინგლისი ახალ ჯარებს აღარ გაგზავნის რუსეთში. ინგლისის მართველ წრეებში იმ აზრისა არიან, რომ ინგლისმა მხოლოდ გარეშე მაყურებლის როლი უნდა ეთამაშოს რუსეთის საქმეებში და თავი მოარიდოს შეიარაღებული ძალით მასში ჩარევას. ინგლისის ჰელსინგფორსელ წარმომადგენელს არა სწამს აგრედვე პეტროგრადის ახლო ხანში აღების შესაძლებლობა.

დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ენკენისთვის 13

გერმანული პრესა

გერმანიის საზღვაო ვაჭრობა

ეკონომიურ საკითხთა კანცლერის დროს ჩრდილოეთ-გერმანიის სანავოსნო საზოგადოების დირექტორმა სხვათა შორის სთქვა: საზავო ხელშეკრულების ძალით გერმანიის ეკონომიური ცხოვრება თითქმის განადგურებულია. დღეს დღეობით გერმანიის საზღვაო მიმოსვლა თავისთავად გაუქმებულია, ასე რომ ძნელი სათქმელია რას შეუძლია კიდევ უფრო დააქვეითოს ჩვენი საზღვაო ვაჭრობა. გერმანიის რკინის გზები უცხოელთა საკუთრებათ ხდებიან და საზღვაო ვაჭრობასაც, [illegible], აგრეთვე ვისლაზე უცხოელნი უწევენ კონტროლს. ლოტარინგიისა და ლიუქსემბურგის ქარხნები საქონელს უცხოელებისათვის დაამზადებენ და უცხოელთა გემებით იქნება გაზიდული. ცდილობენ აგრეთვე გერმანიის ნავთსადგურთა მუშაობის შეკვეცას. საზავო ხელშეკრულების ძალით ანტანტამ უფლება დაიტოვა ისარგებლოს ოკეანისა და საზღვაო გზებით გერმანიის შიგნით. აგრეთვე დაიტოვა უფლება კავშირი შეკრას გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან, ხოლო გერმანია ვალდებულია თანხმობა განაცხადოს აღნიშნულ პირობებზე უყოყმანოდ. გარდა ამისა, ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეთმო ნაწილი ჩვენი თავისუფალი ნავთსადგურისა პოლონეთისათვის. გერმანიის საზღვაო ვაჭრობა კიდევ მეტს დაკარგავს, უკეთუ მონაწილეობა არ ექნება საგარეო ვაჭრობაში და თუ მისი კონცესიები ჩინეთში გაუქმებულ იქნებიან, როგორც სამოა, ციმბირსა, მოროკოსა, და ეგვიპტეში, ხოლო კერძო საკუთრება გერმანელ მოქალაქეთა ჩამორთმეული, გერმანიის მთავრობა ამის გამო ცდილობს მჭიდრო კავშირი დაიჭიროს პოლონეთთან რომ ამით მშვიდობიანობა და წესრიგი დაამყაროს ზემო სილეზიაში; საალყო წესები გამოცხადებული ქ. ბრეზლში 23 აპრილიდან, მოხსნილ იქმნა ებერტის განკარგულებით.

პურის პირველი გემი გერმანიისთვის

ავგისტოს დამლევს შევიდა გერმანიაში პირველი გემი ხორბლეულობით.

ნახშირის ნაკლებულება

ნახშირის ნაკლებულებამ თვით რურის რაიონშიაც იჩინა თავი. ქ. მიულგეიმი იძულებული იყო ნახშირის სიმცირის გამო სინათლის გაზი საგრძნობლად შეემცირებია. აგრეთვე დიუსელდორფში 30 პროც. შემცირდა ქონეულობის ულუფა ვინაიდან მისი დამუშავებელი ქარხნებში ნახშირის უქონლობის გამო ვეღარ აკეთებენ საკმაო საქონელს.

ვინინგი აღმოსავლეთ პრუსიაზე.

აღმოსავლეთ პრუსიის სოციალისტთა კონგრესზე პრემიერმა ვინინგმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა მოელის აღმოსავლეთ პრუსიას. ვინინგმა მიუთითა სამს უმთავრეს საფრთხეზე. გაწვევა აღმოსავლეთ ფრონტიდან გერმანელ ჯარებისა და ამით გზის გახსნა ბოლშევიკებისათვის. პოლონელების აგიტაცია, ვინაიდან პოლონელებს ძალით სურთ დაიპყრონ გერმანიის ისეთი პროვინციები, რომლებშიაც საჭიროა მოხდეს მცხოვრებთა შეკითხვა და დასასრულ კარზე გამდგარი ეკონომიური გასაჭირი უმთავრესად ნახშირის უქონლობით გამოწვეული.

გერმანელთა გაჭირვება

სახალხო კრებამ ქ. ალენშტეინში თხოვნით მიმართა გერმანიის მთავრობას, რათა ყურადღება მიექცეს ზემო სილეზიაში მცხოვრებ გერმანელთა აუტანელ გასაჭირს და მათ ბრძოლას პოლონელებთან, ხალხი მოითხოვს შეკითხვა და მცხოვრებთა სურვილის გაგება რაც შეიძლება მალე მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლონელები თავისას გაიტანენ და მით საზავო ხელშეკრულების მუხლს შეკითხვის შესახებ მნიშვნელობა დაეკარგება.

შვეიცარიის ტელეგრაფი

შვეიცარიის მთავრობამ მიიღო ახალი კანონი, რომლითაც გადიდებულ იქმნა ტელეგრაფისა და ტელეფონის გადასახადები.

ფრანგული პრესა

ავსტრიამ ზავს ხელი მოაწერა

დღეს დილით ავსტრიის კანცლერმა სენ-ჟერმენში საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. რუმინიისა და სამხრეთ სლავიანთა დელეგატებმა ითხოვეს რამდენიმე დღე, ზავის პირობების ხელის მოსაწერათ. მათი თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და მიეცათ დრო შაბათამდე.

ბულგარეთის პირობები.

უმაღლესი საბჭოს დადგენილებით საზავო პირობები ბულგარიის დელეგატებს მომავალ კვირაში ჩაბარდება.

რეიხსტაგის სხდომა.

როგორც ამბობენ მომავალ კვირაში მოხდება რეიხსტაგის სხდომა, რათა გაუქმებულ იქნას მუხლი ავსტრია გერმანიის გაერთიანების შესახებ.

ამერიკის წარმომადგენელნი.

ჰაუზის მოულოდნელად პარიზში დაბრუნებამ ვერ მოახდინა კარგი შთაბეჭდილება. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ [illegible] გაზაფხულზედ პრეზიდენტ ვილსონის არ ყოფნის დროს პოლკ ჰაუზის ნამოქმედარით არავინ კმაყოფილი არ დარჩენილა. მისი [illegible] სახელმწიფო საკითხებში, მხოლოდ შემდეგ იქნა გამოსწორებული. [illegible] საკითხი რომ ლენსინგს [illegible] შემდეგი უეჭველია სხვა იქნება და დღეს გამოცხადდა რომ ამერიკის საქმეებს ხელმძღვანელობას ბ-ნი პოლკი გაუწევს. აქედან აშკარაა, რომ პრეზიდენტთან შეთანხმებით [illegible] არ იქნება უმთავრესი რწმუნებული ამერიკისა

უმუშევართა კონგრესი

ბერლინი, სექ. 5. ჰამბურგში შედგა გერმანიის უმუშევართა კონგრესი, რომელმაც „ფორვერტსის“ სიტყვით, გამოიტანა კომუნისტური გადაწყვეტილებები. ნოსკემ აკრძალა პროკლამაციების გავრცელება და გაზეთების გამოშვება უმაღლესი სარდლობის ნება დაურთველად.

ბავარიის პურის საქმე

ბერლინი. სექტ. 2. „ფორვერტსი“ იუწყება, რომ ბავარიისადმი პურის მოწოდების საქმე კატასტროფიულ მდგომარეობაშია პურის შესყიდვა 1 მაისიდან შეწყვეტილია.

ზანგების თვით გამორკვევა.

ლონდონი. ენკ. 9. ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, რომ აგიტატორებმა, რომელთაც რადიკალური ელემენტები მხარს უჭერენ, გააჩაღეს კამპანია ზანგების თვით გამორკვევის სასარგებლოთ ამერიკაში.

№-ის არმიის შტაბი. ენკ. 10. როგორც მოსული ხმებიდან სჩანს ამერიკის ჯარისკაცებმა [illegible] რეს ორი გემი და [illegible]

ამერიკა და ინგლისი.

ტოკიოდან იტყობინებიან, უკანასკნელ დროს ნიუ იორკიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ირლანდიის საკითხი ამერიკასა და დიდ ბრიტანეთ შორის ახალ გართულებას იწვევს.

დეპუტატთა პალატაში

ლიონი ენკ. 11. სამშაბათს საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში საზავო ხელშეკრულების შესახებ თათბირი განახლდა. დიუბუამ ფინანსიური მუხლები განიხილა. კაპიტალის, ტეხნიკის და კომერციული მხრით მთელი საფრანგეთის მოეწყველობა დაშლილია. საფრანგეთი მართალია როდესაც ანგარიშს უწევს გერმანიის მრეწველობის მტკიცე ნიადაგს. გერმანია მზად უნდა იყოს საზღაური კონტრიბუცია გადაიხადოს. დიუბუას აზრით საფრანგეთის მატერიალური ზარალი უდრის 358 მილიარდ, 429 მილიონ ფრანკს. დიუბუა მოხსენების ბოლოს იმედს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის ხალხი თავის დაუღალავი ენერგიით გააკვირვებს ყველას. საფრანგეთი თავის საქონელს მთელი ქვეყნის წინაშე გამოიტანს. მარტო თავისთვის არ ფიქრობს და იმედი აქვს ქვეყნიერებაც მასზე იფიქრებს.

რისთვის მომისპეს თავისუფლება?

(წერილი რედაქციის მიმართ)

(დასასრული)

რამდენიმე დღის შემდეგ ბ. სოლომაშვილმა განცხადება წარუდგინა სისხლის სამართლის მილიციის უფროსს, რომლითაც ბრალი მედებოდა თუნუქის მოპარვაში. სისხლის სამართლის მილიციამ, რასაკვირველია, მოახდინა გამოძიება მაგრამ ჩემს მოქმედებაში სისხლის სამართლით დასასჯელი, რომ ვერ იპოვა.

ვერც კომისარიატმა, ვერც სისხლის სამართლის მილიციამ ვერ იკისრეს ჩემი დაპატიმრება მიუხედავათ სასურსათო საბჭოს დაჟინებითი მოთხოვნისა; ხოლო შინაგან საქმ. სამინისტრომ დაადგინა ჩემი დაპატიმრება და მოთავსება საგანგებო რაზმთან „საქმის გამორკვევამდე“ ძველ დროებში, მეფის რეჟიმში ხალხს ჯერ აპატიმრებდენ და დაპატიმრების მიზეზებს კი შემდეგ ეძებდნენ. ასეთი წესწყობილებით აღშფოთებული იყო სრულიად რუსეთი, მეფის „ოპრიჩნიკების“ გარდა. კონსტიტუციურ ქვეყნებში წესწყობილება სხვანაირია: აპატიმრებენ მხოლოდ დაპატიმრების მიზეზთა გამოძიების შემდეგ. სამინისტროში ცხრა დღე არკვევდნენ ჩემს საქმეს და ბოლოს გამოირკვა, რომ არაფერში დამნაშავე არა ვარ და კიდეც გამანთავისუფლეს.

მაგრამ ბ. ბ. სოლომაშვილი და ცაბაძე არ გაყუჩნდნენ. მათ მოისურვეს ჩემი ციხეში ჩასმა რათაც უნდა იგი დაჯდომოდათ.

და აი, შემდეგ ხრიკებისა, უწესო უკუღმო და უსინდისო ხრიკებისა მეძებ სას. საბჭო აუწყებს თ. ს. სასამართლოს, რომ მე, განვიზრახე რა სას. საბჭოდან თუნუქის [illegible], [illegible] კარი კონტრაქტი [illegible] შევისყიდე რა სასურსათოს [illegible], და ამ რიგად, აღსრულებაში მოვიყვანე განზრახვა, რითაც სას. საბჭო მეტად უხერხო მდგომარეობაში ჩავაყენე.

ამ რიგად ფაუსტმა მარგარიტას წაართვა უმანკოება. მაგრამ ამაზე უწინარეს ხომ უნდა დავამტკიცოთ, რომ მარგარიტა იყო უმანკო თუ დამტკიცდა, რომ მარგარიტა— ს. საბჭო, არ გეტეს მარგარიტას მაგალითით, უჩემოდ და ჩემამდე იყო ნამუს ახდილი, მაშინ ჩემზე უნდა იყოს მოხსნილი უსამართლოდ ნაწოდები სახელი შემცდენისა.

ზემოდ მოვიყვანე რამოდენიმე მაგალითი სას. საბჭოს მოღვაწეობიდან; ალბად რევიზიას უფრო ბევრი ფაქტები ექნება იმავე მოღვაწეობიდან; ჯერ კი ისევ შაბიაბას დაუბრუნდები.

კოოპერატივთა კავშირი ათი თუმნით იაფად ყიდულობს შაბიაბას სანამ სას. საბჭო; მაშასადამე, ხალხიც ათი თუმნით იაფათ წაიღებს სანამ სას. საბჭო. საბჭო ამ ოპერაციაში რამდენიმე მილიონით იზარალებს. და აი, რომ თავი როგორმე გადაარჩინოს ამ ზარალს და ასეთ სკანდალს, სწერენ კოოპერატივთა კავშირს, რათა შაბიაბანი მან გაჰყიდოს ათი თუმნით ძვირად. ეს ნიშნავს, რომ რესპუბლიკის მოქალაქეთ. ბ. სოლომაშვილის უნიჭო კომერციულ ოპერაციის წყალობით უნდა მილიონები იზარალონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მეორე მხრით იმასაც ჰნიშნავს, რომ კოოპერატივთა კავშირსაც ბოროტმოქმედებაში იჭერენ, რადგან მას ეუბნევიან, რომ შაბიამანში ის სპეკულიაციას ეწეოდა.

კმარა!

ამის შემდეგ მარგარიტას უმანკოებაზედ ლაპარაკი მეტია. ვეხები უკანასკნელ იმ ბრალდებას, რომელშიც გვხვევს სას. საბჭო. ამბობენ, რომ კონტრაქტის შეკვრის დროს, მე ქრთამი ავიღე და სას. საბჭო მით ცუდ მდგომარეობაში ჩავაგდე. ვურჩევდი ბ.ბ. სოლომოშვილებს მოსვენება მიეცა როგორმე ერთი დღით თავის შოფერებისა და მეეტლეებისთვის, ჩაუჯდეს ერთი დღე თავის კაბინეთში და გაეცნოს ჩემგან კონსერვების აღების საქმეს; ვურჩევ ამასთან, ერთი დღით ერთი იურისტი და ერთი უბრალო გონიერი ადამიანი მოიწვიოს, რომ აღარ ჩაიდინოს საძაგელი და სასაცილო საქმეები და დარწმუნდეს თუ რა ძნელია, როცა ადამიანს აბრალებენ თავისივე თუნუქის მოპარვას საკუთარივე ქარხნიდან. როცა ისინი საქმეს გაეცნობიან, გაიგებენ, რომ ჩემს კონსერვების მიწოდების საქმის პირველ განცხადებაში, თუნუქის შესახებ ერთ სიტყვასაც არ ვამბობ; რომ მე ყოველთვის საკუთარი თუნუქი მქონდა, რომ ჩემი თუნუქის გაყიდვის საკითხი აღძრული იყო ჩემი კონტრაგენტების მიერ; რომ კონტრაქტის პირობები შეიმუშავა 7 კაცისაგან შემდგარ კომისსიამ; რომ საბჭოს საქმეში ინახება ამ კომისსიის სხდომის ოქმი; და რომ ის, რომელსაც თითქოს ქრთამი შევაძლიე მონაწილეობას არ იღებდა ამ კომისსიაში, რომ უკანასკნელმა ხელი მოაწერა კონტრაქტს მხოლოდ მის შემდეგ რაც მე, მისი დაჟინებით, როგორც ეს ნაჩვენებია კონტრაქტში, მოვაკელ ასი თუმანი კონტრაქტით კუთვნილ ჩემი თანხიდან. ეს ჩემი ხმამაღლა განცხადება კი არ არი; ეს ფაქტებია, რომელთაც აქვთ დასაბუთებითი დამტკიცება. თქვენ კი? თქვენ კი ლაპარაკით გვიკლებთ და ხალხს თავბრუს ახვევთ ფშუტა სიტყვებით და ბოროტმოქმედ ოპერაციებით. თქვენ მე ბრალსა მდებთ ქურდობაში, სხვისა საქონლის მითვისებაში, სპეკულიაციაში და თქვენ უბედურ მდგომარეობის ჩაყენებაში. ამას იმახით, ყვირით დაუმტკიცებლათ: თქვენ ეს განგიმარტეს: სისხლის სამართლის მილიციამ, გამომძიებელმა, პროკურორმა, რომელთაც საქმის გაცნობის შემდეგ მოგწერათ, რომ მელიას საქციელში ის ვერ ხედავს სისხლის სამართლის გასაწევ მოქმედებას და გთხოვათ ბეჭედი მოგეხსნათ ჩემი საწყობიდან და აღგედგინათ თქვენგან უკანონოდ დარღვეული ჩემი უფლებანი. მე კი თქვენ ბოლოს გდებთ ფაქტებით ხელში, სცადეთ ჩემი გაწვევა სასამართლოში, და მე დავანახვებ ქართველ დემოკრატიას, თუ ვის ხელშია ასეთი დიდი და სერიოზული საქმე, როგორც სურსათი ხალხისა, ჯარისა და გვარდიისა. თქვენ კი უბრალოდ აიღეთ და ციხეში ჩამსვით. სირცხვილი თქვენ! სას. საბჭოს ყველა უწესობისა და უკანონობის მოთავსება გაზეთის ფურცლებზე შეუძლებელია; ამისთვის საჭირო იქნებოდა მთელი წიგნი, ნამდვილად რამდენიმე ტომი—საგამომძიებლო ნაწარმოები. და მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ხელი ხელს არ დაჰბანს, თუ საგამომძიებლო აპარატი იმოქმედებს მიუდგომლად უსხვის გავლენოდ, სას. საბჭოში აღმოჩნდება დიდი და ბევრი ბოროტმოქმედება და ბევრი მისი თვალსაჩინო და უმანკო წარმომადგენლები ბრალდებულ სკამებზე დასხდებიან.

პარლამენტისა და დამფუძნებელ კრების ტრიბუნიდან ნოე ჟორდანიას არა ერთხელ განუცხადებია, რომ მადლობით მიიღებს ჩვენებას ამა თუ იმ შეცდომაზე და მთავრობის ამა თუ იმ წარმომადგენელთა უკეთურ საქციელზე, და მე ვფიქრობ, რომ ზემოდ მოყვანილი ჩემგან ფაქტები საკმარისი საფუძველი იქნება, რათა აღიძრა სისხლის სამართლის გამოძიება იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც სხედან სას საბჭოში. წერილის დასასრულს, მე უნდა დავუბრუნდე მის სათაურს.

რისთვის მომისპეს თავისუფლება? მე უკვე ვსთქვი, რომ სასურსათო საბჭოს ჩემდამი აღძრულ უსამართლო დევნით უნდოდა, თავისი ცოდვები ჩემზე მოეხვია. ეს ერთი. ახლა მეორე...

ნება მიმეცით რამდენიმე სიტყვა ვსთქვა ფ. [illegible] მგელაძეზე.

საამისოდ ის მეტად პატარა პიროვნებაა, რომ რესპუბლიკის მოქალაქეთა ყურადღება მასზედ შევაჩერო; საზოგადოებრივ-პოლიტიკურად ის არაფერია. თუ მაინც ვიტყვი მასზედ რამეს, მისთვის, რომ ჩემს დაპატიმრებაში მან საკმაოდ დიდი როლი ითამაშა. ფ. მგელაძე იყო ეკონომი, და შემდეგ პედაგოგი საბალოსნო სკოლაში, რომლის გამგედაც ვითვლები მე. თავიდანვე მეტად კარგი განწყობილება გვქონდა. მე ვეპყრობოდი ძმურად, ის კი შემდეგში, როგორც გამოირკვა ჩემს მეგობრობასა და ნდობას ბოროტად იყენებდა. ხშირად მესესხებოდა ხოლმე ფულს და აღარ მიბრუნებდა ნაღდით, არამედ გამიბარებდა ხოლმე ბანქოს თამაშში, რომელიც მან სკოლაში შემოიტანა. უნდა ითქვას რომ, ბანქოში ღმერთი სწყალობდა, [illegible] კი განთიადის [illegible]. და აი, ბოლოს ერთ ასეთ გალიმებაში, მან გამიბარა 8 ათასი მანეთი, რომელიც მე სხვა და სხვა დროს გამომართვა. ამის შემდეგ ის წავიდა ბორჯომს, საიდანაც კვლავ 6 ათასი მესესხა. მე მას მხოლოდ 3 ათასი მივეცი და ამის შემდეგ, როგორც იტყვიან უნდა ითქვას, რომ ფ. მგელაძე სოციალ-დემოკრატებშია; უმაღლეს წრეებიდან მას ბევრი ამხანაგი ჰყავს და აი, ისარგებლა რა ასეთ შემთხვევით მეტად ეშმაკურად და ხერხიანად გააბა ლაპარაკი ჩემსა და ჩვენ მოღვაწეობაზე საბალოსნო სკოლაში და მის გარედ. ამავ დროს შუღლი ასტყდა ჩემსა და სას. საბჭოს შორის. როცა მის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მისი ცოლის ძმა ბ. სოლომოშვილი, მგელაძე სიხარულით [illegible] ცას მოეწია. თავის ცოლის ძმის მეოხებით მან დაიწყო ჩემზედ შურისძიება. მან განიზრახა ჩემი ციხეში ჩასმა და არა ერთხელ დაუფიცნია ულვაშებით, ყველა იმით ფიცულობს რაცა აქვს, ერთი სვინიდისით, მეორე ულვაშით,—რომ ციხეში ჩამსვას.

და აი სას. საბჭომ ბრალი დამდო ქურდობასა, სპეკულიაციაში და სხვ. ბოლოს და ბოლოს მგელაძემ თავისი გაიტანა. შინაგან საქ. სამინისტრომ დამაპატიმრა და ცხრა დღით „საქმის გამორკვევამდი", როგორც ნათქვამია განსაკუთრებულ რაზმის დადგენილებაში. საშინელია არა ის, რომ შეუძლიათ ადამიანს თავისუფლება მოუსპონ, გინდაც შეცდომით, არამედ ის, რომ შეუძლიათ „დაჩაგრონ" პირადი შურისძიებით, წინასწარ განზრახვით.

მესმის, რომ უმაღლესი კანონია—რესპუბლიკის კეთილდღეობა და ხანდისხან, სახელმწიფოს ახლად შენების დროს, სახელმწიფო საქმეებში, ერთი პიროვნების ინტერესები გაითელოს გინდაც ფორმალ კანონის წინააღმდეგ. მაგრამ როცა არც ფორმალური კანონი, არც სახელმწიფოს კეთილდღეობა არ მოითხოვენ მსხვერპლს პიროვნებისაგან, მაგრამ მაინც ატარებენ მძიმედ ფეხს, მე ვიტყვი: ნუ ჰმვრებით ამას; ძალაუფლებას ნუ აქცევთ წვრილმან ადამიანთა სათამაშოდ, რადგანაც ეს იმ საზღვრებამდე მიგვიყვანს, რომ რესპუბლიკის კეთილდღეობამ თავისი ადგილი მგელაძეების კეთილდღეობას დაუთმოს. ფრთხილად იყავით, რადგან სახელმწიფო ინტერესით ბოროტმოქმედება პირადობისათვის არის უდიდესი ბოროტმოქმედება. ამ რიგად, სასურსათო საბჭომ თავის მოვალეობისადმი სრულ დამოკიდებულების წყალობით საქმე დააყენა ასე, რომ: 1) შეუძლებლად გახადა ჩემგან კონსერვების დამზადება. 2) მიუხედავად ჩემი ათის განცხადებისა, ვადის გასვლის შემდეგაც, არ მომცა არც ერთი პასუხი, 3) მიუხედავად იმისა, რომ კონსერვების დამზადებაზე გინდ ახალ პირობებით მზად ვიყავი ვადის გასვლის შემდეგაც, არ გამოიფხიზლა და არ დაინტერესდა კომისიის მუშაობით, რომელიც დანიშნული იყო ამ საქმეზე, 4) თიბათვეში, მან გადასდგა რამდენიმე სასაცილო, საძაგელი და უკანონო ნაბიჯები: ა) დაბეჭდა საწყობი ჩემს ქარხანაში, ბ) დამაბრალა ქურდობა, შემდეგ მითვისება, შემდეგ სპეკულიაცია, და, ბოლოს ქრთამის შეძლევაც. 5) შინაგ. საქ. სამინისტროსგან მიაღწია ჩემი დაპატიმრებაც: 6) მიუხედავად თ. საოლ. სას. პროკურორისა, პალატის პროკურორისა და მინისტრის წინადადებისა, ჩემი საწყობისთვის მოეხსნა ბეჭედი, არ მოჰხსნეს; 7) თავისი უგვანო კომერციულ მოქმედებით დააზარალეს რესპუბლიკა რამდენიმე მილიონით და 8) მიიღო ზომები რათა რესპუბლიკის მოსახლეობას შაბიამანი ფუთზე ათი თუმნით ძვირად მიეღო, სანამ ამას კოოპერატივთა კავშირი ყიდულობდა, მაგრამ მას ეს არ მოუხერხდა. აი ყველაფერი ის, რის თქმაც მსურდა ჩემს დაპატიმრების შესახებ.

დე რესპუბლიკის მოქალაქეთ, დე ქართულ დემოკრატიამ გაიგოს ეს და დე უმაღლეს მთავრობამაც სთქვას თავისი, შეამოწმებს რა ჩემს მიერ მოყვანილ ფაქტებს, გაეცნობა რა დაწვრილებით ჩემს მიერ კონსერვების დამზადების საქმეს დასაბუთებით, და არა ყურმოკრულ ლაპარაკით და ბ. სოლომოშვილისა და მგელაძეების სიტყვებით.—განაცხადოს, დასაშვებია თუ არა ასეთი წესები რესპუბლიკაში, გინდ ახალ წესწყობილების დროს.

დე მან, ამ მთავრობამ მიიღოს სასწრაფო და სასტიკი ზომები ბოროტების ძირში აღმოსაფხვრელად და სამაგიეროს მოსაგებად მათთვის, ვინც, ბოროტმოქმედობს დემოკრატიის სახელით, დიდ ზიანს, აყენებს მას: მატერიალურად, ფულით, მორალურად, მისი პრესტიჟის გაბათილებით ფართო ხალხურ მასის წინაშე.

პეტრე მელია.

ბ-ნ ზაალიშვილის საპასუხოდ

თუმცა ბ-ნი ზაალიშვილი ფიქრობს, ვითომც მე რაღაცა საიდუმლოებისათვის დამემახინჯებინოს ისი არითმეტიკის სახელმძღვანელოს შინაარსი, ვითომც მე ამის გულისათვის ტყუილებიც კი ჩამედინოს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, „წყალ წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო", და სწორედ ამ წყალწაღებულის განცდა წარმო იდგა თვალწინ, როცა წავიკითხე ბ-ნ ზაალიშვილის წერილი („საქართ. № 190—191) მიმართული ჩემი ბიბლიოგრაფიის წინააღმდეგ.

ბ-ნ ზაალიშვილის აზრით გამოდის, რომ მან მშვენიერი სახელმძღვანელო დასწერა, და მე სრულებით უსაფუძვლოდ დავიწუნე იგი. ნეტავი მართლა ეგე იყოს, მაგრამ თვით ზაალიშვილის პასუხიდან ჩანს, რომ მის სახელმძღვანელოს რაღაცა უნდა აკლდეს.

განა ამისთანა თავის მართლება: ეს კორექტურაა, ეს იციან ბავშვებმა, ეს რაც უნდა იცოდნენ ბავშვებმა, ეს სიტყვა თავის ადგილას არ არის, და სხვა არ ამტკიცებენ იმას, რომ საქმე ხეირიანად არ არის.

ბ-ნ ზაალიშვილს არ გამოვეკიდები ყოველივე წვრილმანზედ, მე ჩემ მიერ წამოყენებული ნაკლი მისი სახელმძღვანელოსი მიმაჩნია ისეთ ნაკლად, რომელიც შეიძლება შესწორდეს მხოლოდ სრულებით ახლად დაწერილ სახელმძღვანელოთი და არა გაზეთში მოთავსებულ პასუხებით. ჩემს ბიბლიოგრაფიაში („საქართ. № 171) მე ნათლად ვუჩვენე ეს ნაკლი, მცოდნე ადამიანი [illegible] ამ ნაკლს და გაჩუმდებოდა, მაგრამ ზაალიშვილი მოითხოვს, რომ ყოველივე, რასაც მე წუნი დავსდე, მევე გადავასწორო, ასე რომ გავყვეთ, მაშინ თითქმის მე უნდა დავსწერო ახლად არითმეტიკის სახელმძღვანელო და წარუდგინო ბ-ნ ზაალიშვილს ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა, ამისათვის მე მცირე რამეზედ შევჩერდები.

როგორც მოგეხსენებათ, მათემატიკაში არის სამი პირდაპირი მოქმედება: მიმატება, გამრავლება და ხარისხად აყვანა. ყოველივე პირდაპირ მოქმედებას აქვს თავისი შებრუნებული მოქმედება, როცა პირდაპირ მოქმედებაში მოცემულ შედეგით (რეზულტატით) და ერთ ერთ მოქმედ რაოდენობით, უნდა ვიპოვოთ მეორე მოქმედი რაოდენობა. აქედან ვხედავთ, რომ პირდაპირი მოქმედება, ასე ვსთქვათ ფუძეა, განსაზღვრულია, შებრუნებული მოქმედება კი საკითხია, ერთგვარი კითხვაა, რომელზედაც ჩვენ უნდა პასუხი გავსცეთ.

მაშასადამე მოქმედებათა განსაზღვრის დროს [illegible], კერძოდ უნდა ჩამოყალიბებულ იქმნენ პირდაპირი მოქმედებანი. შებრუნებული მოქმედებანი კი თავის განსაზღვრაში უნდა ემყარებოდნენ პირდაპირ მოქმედებათა განსაზღვრას.

ეხლა ვნახოთ თუ როგორ განსაზღვრავს ბ-ნი ზაალიშვილი პირდაპირ მოქმედებებს. მიმატება ესეა განსაზღვრული: „იმ რიცხვს, რომელსაც შეკრებით მივიღებთ ჰქვიან ნაკრები ანუ ჯამი. არითმეტიკული მოქმედება, რომლის საშუალებითაც ვპოულობთ ნაკრებს ანუ ჯამს რამდენისამე რიცხვისას, ჰქვიან შეკრება." (გვ. 12). ამისთანა განსაზღვრა! [illegible] მოჯადოებული წრე: შეკრების შედეგი არის ჯამი. ჯამის პოვნის შედეგი არის შეკრება. არც ერთ არითმეტიკის სახელმძღვანელოში ჩვენ ამას არ შევხვდებით. შეკრების განსაზღვრელად საჭირო იყო ჯამი გაგვემარტა არა როგორც შეკრების შედეგი, არამედ როგორც ის რიცხვი, რომელიც შესაკრებთა ყოველივე ერთეულებს შეიცავს, მაშასადამე ბ-ნ ზაალიშვილის შეკრების განმარტება არ ვარგა.

გამრავლება ასეა განსაზღვრული: „გამრავლება არის არითმეტიკული მოქმედება, რომლის საშუალებით ერთი მოცემული რიცხვი განმეორდება იმდენჯერ, რამდენიც ერთეულია მეორე მოცემულ რიცხვში." (გვ. 22) ჩვენ შეგვიძლიან ერთი რიცხვი რამდენჯერმე გავიმეოროთ როგორც სამრავლი: 3.3.3.=27; და შეგვიძლიან ერთი რიცხვი გავიმეოროთ, როგორც შესაკრები: 3+3+3=9. მაშასადამე ბ-ნ ზაალიშვილის გამრავლების განსაზღვრა არ არის სწორი, აქ არ არის ნათქვამი, თუ როგორ უნდა გავიმეოროთ ერთი მოცემული რიცხვი შესაკრებად თუ სამრავლად.

ხარისხად აყვანა, როგორც მოქმედება, ბ-ნ ზაალიშვილს განსაზღვრული არა აქვს. ხარისხი კი ასეა განსაზღვრული: „როცა სამრავლი და მრავლებელი რაოდენობით ერთმანეთს ეთანასწორება, მაშინ მათ ნამრავლს უწოდებენ ხარისხს". (გვ. 31) არც ეს განსაზღვრაა სრული იმ განსაზღვრიდან ისე გამოდის, ვითომც ხარისხი მხოლოდ ორი თანასწორი რიცხვის ნამრავლი იყოს. განა არ შეიძლება რომ ხარისხი იყოს სამი, ოთხი და სხვ. თანასწორი რიცხვთა ნამრავლი? აი თუნდა ასე: 33.3.3=81. ამ გვარად, პირდაპირი მოქმედებანი ბ-ნ ზაალიშვილს არა აქვს სწორედ განსაზღვრული. მაგრამ არც თუ შებრუნებული მოქმედებანია ხეირიანად განმარტებულ გაშუქებულნი.

შებრუნებულ მოქმედებათა განსაზღვრა უნდა პირდაპირ მოქმედებათა განსაზღვრიდან გამომდინარეობდეს. არითმეტიკის სახელმძღვანელოში ეს გარემოება ხაზგასმით უნდა იყოს აღნიშნული. მაგრამ ბ-ნი ზაალიშვილი საქმეს ასე არ უყურებს. იგი თავის სახელმძღვანელოში შებრუნებულ მოქმედებაზედ არსად ლაპარაკობს, ეს ცნება მისთვის არ არსებობს.

გამოკლებას იგი ჯერ განმარტავს, როგორც იმისთანა მოქმედებას, რომლის შემწეობითაც ჩვენ შეგვიძლიან გავიგოთ, თუ ერთი რიცხვი რამდენით მეტია მეორეზედ. (გვ. 14). და ბოლოს სხვათა შორის სწერს: „განსხვავება და მცირებელი რომ შევკრიბოთ სამცირს მივიღებთ. ამგვარად სამცირი არის ჯამი ანუ ნაკრები. მცირებელი არის ერთი ერთი შესაკრები და ნაშთი ანუ განსხვავება კი მეორე შესაკრები. ამგვარად გამოკლება შეიძლება ასე განვმარტოთ; გამოკლება არის არითმეტიკული მოქმედება რომლითაც ჩვენ მოცემული ნაკრებით და ერთ-ერთი შესაკრებით ვპოულობთ მეორე შესაკრებს" (გვ. 15.) არ ვიცი მოსწავლეებმა აქედან რა უნდა გაიგონ. ზაალიშვილი ჯერ სწერდა, რომ გამოკლებით ჩვენ ვიგებთ, თუ ერთი რიცხვი მეორე რიცხვზედ, რამდენით მეტია, და ბოლოს გადავიდა სამცირი ჯამია, მცირებელი და ნაშთი კი შესაკრებნი არიანო. საიდან სადა... ეს ზაალიშვილს მოუვიდა იმისთვის, რომ მან გამოკლებას არ შეხედა ის, როგორც მიმატების შებრუნებულ მოქმედებას.

გაყოფა ხომ სრულებით არ დაუკავშირია ბ-ნმა ზაალიშვილმა გამრავლებას. აი გაყოფა როგორ არის განსაზღვრული: „გაყოფას უწოდებენ არითმეტიკულ მოქმედებას, რომლის საშუალებით ჰყოფენ ერთ რომელიმე რიცხვს რამდენსამე ნაწილად ან იგებენ რამდენჯერ მეტია ერთი რიცხვი მეორეზედ". (გვ. 33). შებრუნებული მოქმედება უნდა განვსაზღვროთ პირდაპირ მოქმედების შემწეობით. მაშასადამე გაყოფა უნდა განსაზღვრულ იყოს, როგორც იმისთანა მოქმედება, როცა მოცემულ ნამრავლით და ერთ-ერთ თანამამრავლით ვეძებთ მეორე თანამამრავლს. ბ-ნ ზაალიშვილის განსაზღვრა კი მხოლოდ გვეუბნება: გაყოფა არის გაყოფაო," ეს განა საქმის ცოდნად ჩაითვლება?

როცა ნაწილადზედ გადავდივართ, საჭიროა აქაც მოქმედებანი განისაზღვრონ. მოქმედებათა დედა-აზრი ნაწილადებში უფრო საზოგადო სახეს იღებს, აქ მოქმედებანი უფრო ყოვლადდებიან. ამ გარემოებისათვის უნდა მიექცია ბ-ნ ზაალიშვილს თავისი ყურადღება. მაგრამ იგი ამას არ დაგიდევთ. ნაწილადების შეკრებას იგი ასე განმარტავს: „შეკრება ნაწილადებისა არის არითმეტიკული მოქმედება, რომლის საშუალებით რამდენისამე მოცემულ რიცხვისაგან ვპოვებთ ერთს, თავის ოდენობით ყველა მოცემული რიცხვების ტოლს" (გვ. 85). ნაწილადებზედ სხვა მოქმედებათა განმარტება კი ბ-ნ ზაალიშვილს არა აქვს.

მიმატების განსაზღვრა ნაწილადში ისევ ისეთი უნდა იყოს, როგორც მთელ რიცხვებისა. მაშასადამე ზაალიშვილის ნაწილადის მიმატების განსაზღვრა არ ვარგა. საჭირო იყო ხაზი გაესვა იმ გარემოებისათვის, რომ ნაწილადთა მიმატება—გამოკლებას და მთელ რიცხვთა მიმატება—გამოკლება ერთი და იგივე აზრი აქვთ.

სულ სხვაა ნაწილადთა გამრავლება, აქ მთელი რიცხვებზე გამრავლების განსაზღვრა არ გამოდგება. როცა ჩვენ რომელიმე სიდიდეს მთელ რიცხვზედ ვამრავლებთ, ჩვენ ამ სიდიდეს ვიღებთ შესაკრებად იმდენჯერ, რამდენი ერთეულიც მეორე რიცხვშია. ნაწილადებზედ რიცხვის გამრავლებას კი სულ სხვა ხასიათი აქვს, და ბ-ნ ზაალიშვილს აქ ახალი, უფრო გაყოვლადებული განსაზღვრა უნდა მიეცა გამრავლებისათვის. იგი კი ამას არა შვრება; იგი ასე იწყებს გამრავლებას: „ნაწილადების გამრავლებაში შევხვდებით ორ შემთხვევას". (გვ. 89) იმაზედ კი, თუ რას ნიშნავს რომელიმე სიდიდის ნაწილადზედ გამრავლება, არავითარ პასუხს არ იძლევა. როცა რომელიმე სიდიდეს მთელ რიცხვზედ ვამრავლებთ, ეს სიდიდე დიდდება, და როცა იმავე სიდიდეს ნაწილადზედ (წესიერზე) გამრავლებთ ეს სიდიდე მცირდება, აგრეთვე, როცა რომელიმე სიდიდეს მთელ რიცხვზედ ვყოფთ, ეს სიდიდე მცირდება, და როცა ნაწილადებზედ ვყოფთ, სიდიდე დიდდება. განა ეს ხაზგასასმელი გარემოება არ არის ბავშვისათვის? მაგრამ ბ-ნ ზაალიშვილი ამაზედ სდუმს.

ამგვარად, თვით მოქმედებათა უბრალო განსაზღვრა ბ-ნ ზაალიშვილს ან სრულებით არა აქვს, ან ის რაცა აქვს, არ არის სწორე ან სრული. მოსწავლეებს კი მოქმედებათა შინაარსი უნდა გარკვეულად ჰქონდეთ შეგნებული.

თვით მოქმედებათა წარმოების წესიც სწორე არ არის მაგ. 25+4 აქ საჭირო არ არის 4 ქვემოდ მოწერა. არავინ ერთნიშნიან რიცხვს პირველ შესაკრების ერთეულების ქვეშ არა სწერს. ეს ზედმეტი, ასე ვსთქვათ, ფორმალიზმია.

გაყოფის დროს (გვ. 40) ბ-ნი ზაალიშვილი 38500 ჰყოფს 1000 და იღებს 38 მთელს და ნაშთს 5. თუმცა პასუხი გვეუბნება, რომ აქ ესე არ არისო, მაგრამ ვარწმუნებ ბ-ნ ზაალიშვილს რომ ასეა, აი თვით ზაალიშვილის მსჯელობა: „ავიღოთ 38500 გავყოთ 1000 ზე. აღვნიშნოთ გაყოფა ასე: 385: 10=*); ჩვენ ვხედავთ გამყოფში დარჩა ერთი ნოლი. 385 შესდგება 38 ათეულისა და 5 ერთეულისაგან. (უნდა იყოს 38 ათასეულისაგან და 5 ასეულისაგან. გ. ბ). 38 ათეულში ერთი ათეული იქნება 38 ჯერ და დარჩება ნაშთად ხუთი." (გვ. 40). არც ეს უნდა იყოს კორექტურული შეცდომა: 5 არშ. × 10 არშ.=50 კვ. არშ. (გვ. 49), ან 80 საჟ. × 30=2400 კვ. საჟ. ან კიდევ 60 საჟ. × 40 საჟ.=2400 კვ. საჟ. (გვ. 50) და სხვა. განა შეიძლება ეს შეცდომები კორექტურულად ჩაითვალოს? ბ-ნ ზაალიშვილი ტყუილად აბრალებს ამ ამბებს კორექტორს.

ბოლოს მსურს თვით ენასაც და ტერმინებსაც შევეხო. ენა სახელმძღვანელოსი ძალიან უხეშია, მძიმე, ულაზათო, თუმცა ზაალიშვილი გვარწმუნებს სახელმძღვანელო ენის მხრივ შესწორებულია კარგი მცოდნისაგან, მე ეს მჯერა, მაგრამ ქართულის მცოდნე მხოლოდ ენის სისწორეს მიაქცევდა ყურადღებას, მას არ შეეძლო ეს უხეში მძიმე ენა შეემსუბუქებინა, გაემარტივებინა, იმ ამონაწერებიდან, რომელიც მე მაქვს მოყვანილი და ან თვით ზაალიშვილს თავის პასუხში, ყველა მიხვდება თუ რა მძიმე მოუხეშავი უნდა იყოს სახელმძღვანელო ენა.

ძალიან ბევრი ტერმინი სახელმძღვანელოში არ ვარგა, მაგ. ნაკრები (ჯამის ნაცვლად), გამოკრება (გამოკლება), მცირებელი (სამცირი), განსხვავება (სხვაობა), მრავლება (გამრავლება), განაყოფი (ნაწილადი), ნაწილადი ([illegible] მაგიერ), ამოცანის გაკეთება (გადაწყვეტა) და მრავალი სხვა.

დასასრულ ვარწმუნებ ბ-ნ ზაალიშვილს, რომ ჩემთვის ფრიად სასიამოვნო იქნებოდა, თუ მისი სახელმძღვანელო საშუალო ღირსებისა მაინც გამოდგებოდა, მაგრამ სამწუხაროდ მისი სახელმძღვანელო [illegible] მოთხოვნას, რაც კი შეგვიძლიან ამისთანა სახელმძღვანელოებს წარუდგინოთ, არ აკმაყოფილებს. და ეს ჩემთვისაც ფრიად სამწუხაროა

გიორგი ბურჭულაძე.

---

*) აქ ნოლები წაშლილია შეკვეცისათვის. გ. ბ.

წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით უარვყო ის ყალბი ცნობა რომელიც იყო მოთავსებული „გაზეთ საქართველოს" № 195 ში, „სახალხო საქმის" № 624-ში, „Новости Дня" № 340-ში და „Слово"-ს № 20-ში თითქოს ჩემდამი რწმუნებულ 12 კომის. მილიციონერ ი. წიტაიშვილს ყალბი საბუთებით გამოეტანოს თბილისის ფოსტის კანტორიდან 10,000 მანეთი, რაც სიმართლეს მოკლებულია. ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც ამ წერილის ადგილი დაუთმონ თავის ფურცლებში.

თბილისის მე-12 კომისარიატის კომისარი **ი. რევიშვილი.**

მიმოსვლა

სახალხო მატარებლებისა

ს. ს.-რკ. გზ.

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს. 5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	სალ.	8 ს. 7 წ.
ბათომში	№ 5	სალ.	5 ს. 4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს. 56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს. 30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს. —
ფოთიდან	№ 4	სალ.	8 ს. 45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს. 10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს. 30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს. 06 წ.

თბილისი-ხალოღლი

გადის ხალოღლში

№ 8	საღამოს	6 ს. 5 წ.
№ 6	შუადღის	2 ს. 32 წ.
№ 4	საღამოს	9 ს. 50 წ.

მოდის ხალოღლიდან.

№ 3	დილის	7 ს. 27 წ.
№ 5	ნაშუად.	3 ს. 5 წ.
№ 7	დილის	11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი-გორი-ბორჯომი.

გადის

№ 63	შუადღის	2 ს. 40 წ.
№ 61	დილის	7 ს. 52 წ.
№ 19,20	შუადღ.	3 ს. 26 წ.

მოდის:

№ 19,20	დილ.	6 ს. 30 წ.
№ 62	დილ.	11 ს. 24 წ.
№ 64	სალ.	8 ს 4 წ.

თბილისი-სანაინი

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63 64. იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

საექიმო კაბინეტი
ექ. ა. ტყეშელაშვილისა

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა). მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ
საათ 25—2536—1

ბ. ბ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექის და გულისა.—იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X სხივებით დიდი სოლენოიდი და [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1
7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
[illegible]
[illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914 და 606 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „[illegible]",
ტელეფონი 14—28.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, თბილის-მელიქიშვილის ქუჩაზე 3